# საერთო გაზეთი

№14 (695)
ოთხშაბათი
3 მაისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.




# საქართველო უპირველეს ყოვლისა!

## მოვითხოვთ, საქართველოს ხელისუფლებისგან 2004-2012 წლებში „ნაციონალური მოძრაობის“ დიქტატორულ რეჟიმს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცეს და შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმებით აღსრულდეს!

● ხელისუფლებამ სუვერენული, ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე უნდა იზრუნოს, რაც უმუშევრობას, დაბალ ხელფასებს და სიღარიბეს აღმოფხვრის;

● ევროკავშირის და სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებისგან საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემას;

● შიდა საზოგადოებრივ პოლიტიკურ საქმეებში სრულ ჩაურევლობას. მხარეთა შორის ურთიერთობები პატივისცემას და პარტნიორობას უნდა ეფუძნებოდეს;

● დაინერგოს სკოლებში ფუნდამენტური განათლება;

● შეწყდეს ახალგაზრდების იდეოლოგიური დამუშავება სასწავლო დაწესებულებებში;

● კანონის წინაშე არავის პრივილეგიებს არ ვცნობთ;

● კანონი ყველას მიმართ თანაბრად აღასრულოს, მიუხედავად პოლიტიკური, სექსუალური თუ სხვა ორიენტაციისა;

● დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად ქმედითი სახელმწიფო პროგრამა უნდა განხორციელდეს; დაიწეროს, დაიხვეწოს ნარკოტიკებთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხები;

● ჩვენი გადაწყვეტილებაა, რომ პოლარიზაციისა და პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში, ქართველ ხალხს პლებისციტის გზით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა მიეცეს;

● ლგბტ პროპაგანდა კანონით აიკრძალოს და მოწესრიგდეს სამართლებრივი ბაზა.

● რევოლუციები და დესტაბილიზაცია, თავს მოხვეული მაიდნები და სხვა ქვეყნის ომში ჩართვა ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ, დაანონსებული არეულობა, ხელისუფლების ძალადობრივი ცვლა, ერთმანეთთან დაპირისპირება არ მოხდეს და ყველაფერი ეს თავიდან ავიცილოთ. ჩვენ გვაქვს არჩევნები და თუ რამე არ მოგვწონს, არჩევნების გზით უნდა გადაწყდეს“.

## ფოტოგრაფების საქმის კვალდაკვალ

## ბადათერ არაბული: ქართველ მწერლებს უცხოეთში „გამოცემული“ წიგნების მთელ ტირაჟს საქართველოში ატანენ

## გამოკვლევებულების კვლევების კვლევა

## ყველას მოსატყუებელი კბილი მოცვლილი გვაქვს

## აშშ დღეს ერთპარტიულ ქვეყანას დაემსგავსა

# პრემიერი, რომელიც ყველას ერთნაირად გაეჩხირა ყელში

სასწაული გადაძახილი ატყდა შინ და გარეთ, რას ჰქვია, საქართველოს პრემიერი, ირაკლი ღარიბაშვილი 4-5 მაისს, უნგრეთში შეკრებილ პოლიტიკოსებთან და ლიდერებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს და მომხსენებლადაც კი წარსდგება საერთაშორისო **(CPAC)** კონფერენციაშიო?!

კონფერენცია, რომელთან დაკავშირებითაც ასეთი აჟიოტაჟი ატყდა, 1974 წელს დააფუძნეს ამერიკელმა კონსერვატორებმა. ის ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში იმართება, ევროპაში კი უკვე მეორედ უნგრეთში ტარდება.

შარშან, ბუდაპეშტში „ფუნდამენტურ უფლებათა ცენტრმა" უმასპინძლა კონფერენციას. ღონისძიება ორიენტირებული იყო „ღმერთი, სამშობლო, ოჯახის" ღირებულებებზე, წლევანდელი კონფერენციის დევიზია: „ერთად ჩვენ ძლიერები ვართ".

მასში მონაწილეობა აქვთ მიღებული ჯორჯ ბუშსა და დონალდ ტრამპს, მაგრამ ამაში არაფერი ყოფილა სათაკილო ან საგანგაშო. ახლა რა ხდება, რატომ ატყდა ასეთი ამბავი მაინც და მაინც მაშინ, როდესაც საქართველოს პრემიერი მიიწვიეს, რა არის კონფერენციის მიზანი, რის შესახებ უნდა ისაუბრონ სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულმა კონსერვატორებმა?

კონფერენციის მიზანი კონსერვატიული საზოგადოების ერთიანობა, ოჯახი და ტრადიციული ღირებულებები ყოფილა და ჩვენი პრემიერი წარსდგება, როგორც ქრისტიანული მორალისა და ტრადიციული ღირებულებების მქონე ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი.

საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობისთვის ნამდვილად ღირებულია ის მიმართულებები, რასთან დაკავშირებითაც ტარდება აღნიშნული კონფერენცია და ძალიან კარგია, თუ ჩვენი პრემიერი სიტყვით გამოვა. რა განგაში ატეხეს?

ვიოლა ფონ კრამონმა სასწრაფოდ მიმართა ევროპარლამენტში „ქართულ ოცნებას" პარტნიორ პოლიტიკურ ჯგუფს კითხვით, რამდენად სწორად მიაჩნიათ საქართველოს მმართველ პარტიასთან ალიანსი: „ნახეთ? თქვენი პარტნიორი ქართული პარტია კამპანიას მართავს სტივ ბანონის ულტრამემარჯვენე ბანაკთან და სხვებთან ერთად უნგრეთში... დარწმუნებული ხართ, რომ ეს არის სწორი ალიანსი „პროგრესული" პარტიისთვის"? — დაწერა მან ტვიტერზე („ქართული ოცნება" ევროპის სოციალისტური პარტიის **(PES)** დამკვირვებელი წევრია, რომელიც ევროპარლამენტში სოციალ-დემოკრატების პროგრესულ ალიანსშია **(S&D)** წარმოდგენილი).

„ძალიან ლიბერალებმა" მსწრაფლ დაიწყეს გამოხდომები, რომ აღნიშნული კონფერენცია ჰომოფობიურია, ფაშისტურია, ფანატიკოსების ნაკრებია და სამარცხვინოა სამარცხვინოა არათუ სიტყვით გამოსვლა, არამედ მასზე დასწრებაც კი;

რომ ვიქტორ ორბანი 21-ე საუკუნის ნეოფაშისტური მოძრაობის ზღვარზეა;

რომ კონფერენციის ერთ-ერთი სპიკერის, ამერიკელი კერი ლეიკის გვერდზე დგომა სამარცხვინოა, რადგან იგი არ აღიარებს აშშ-ის 2020 წლის არჩევნების შედეგებს;

რომ ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს, საქართველოს ხელისუფლება შეურაცყოფას აყენებს ქვეყნის პროევროპულ უმრავლესობას (ცოტა გაუგებრად ითქვა, რომელი ქვეყნის პროევროპულ მოსახლეობას აყენებს შეურაცყოფას, საქართველოსას?);

რომ „ქართულ ოცნებას" ვიქტორ ორბანთან და ადამიანის უფლებების მოწინააღმდეგე პუტინის სხვა მეგობრებთან ურთიერთობა ურჩევნია ევროკავშირის კანდიდატის სტატუსზე მუშაობას;

რომ ამ კონფერენციაზე დასწრება და სიტყვით გამოსვლა პუტინის აპოლოგეტობაა;

რომ ეს არის საქართველოს განაცხადი, არ ვართ დაინტერესებული დასავლეთით;

რომ ეს ნაბიჯი არანაირად არ წარმოადგენს ევროპულ ღირებულებებს და ა.შ.

უკაცრავად, სწორად გავიგე? ღმერთო, სამშობლო, ოჯახი — ეს ცნებები პუტინისტური ყოფილა? ეს თუ ასეა, ბარაქალა პუტინს, რაღას ვერჩით, ოკუპანტი კი არ უნდა ვუძახოთ, უნდა ვევედროთ, რომ ბარემ ბოლომდე დაგვიპყროს...

ყოვლად სასაცილოები და სამარცხვინოები გახდნენ ჩვენი თუ სხვისი ფსევდოლიბერალები. როგორც ჩანს, აგონიაში არიან „ბანოვანი ლიბერალები", სულს ღაფავს მათი ფსევდოლიბერალიზმიცა და ლიბერალური ფაშიზმიც, რას ამბობენ, ველარ აკონტროლებენ.

ეს ძალიან ცუდია საქართველოსთვის და განსაკუთრებით სულელური და მავნე გადაწყვეტილება ყოფილა ღარიბაშვილის მხრიდან. ამის შემდეგ, თურმე უკვე ნათელი გახდა, სად დგას საქართველოს პრემიერ-მინისტრი — ფაშისტების, ფანატიკოსების გვერდით, რომელთაც სურთ, იაფფასიანი, მოკლევადიანი სარგებელი მიიღონ საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე (ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მოკლებულნი არიან გარკვეულ პრივილეგიებს, ან ხელი არ მიუწვდებათ ისეთ საზოგადოებრივ ასპექტებზე, რაც სხვებისთვის ადვილად ხელმისაწვდომია. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა სოციალური მოვლენა, საზოგადოებრივი შეკრებები, სოციალური კლუბები, მხარდამჭერი ჯგუფები და კულტურული ღონისძიებები) თავდასხმით; ლგბტ ადამიანების უფლებების უარყოფით; რელიგიურ და ექსტრემისტულ ფანატიკოსებთან და მათთან ერთად ყოფნით, ვინც ამბობს, რომ შეიძლება, პუტინი არც ისე ცუდი ტიპია...

„ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტს 2021 წლის თებერვლიდან იკავებს. მისი აზრით, საქართველო არის კონსერვატიული საზოგადოება, რომელსაც აქვს ქრისტიანობაზე დაფუძნებული უნიკალური ღირებულებები. გენდერული პროპაგანდა არც საქართველოს ზოგავს, მაგრამ ღარიბაშვილს მიაჩნია, რომ აქტივისტები და პოლიტიკოსები ვალდებულნი არიან, პატივი სცენ უმრავლესობის ნებას, ხოლო ქართველების უმრავლესობა უარყოფს პროპაგანდისტულ, პროტესტანტ ლგბტ ზეწოლას", — ასე წარადგენს ბატონ ღარიბაშვილს კონფერენციის ორგანიზატორი, „ფუნდამენტურ უფლებათა ცენტრი".

აი, როგორ ყოფილა საქმე, რატომ ესხმიან თავს, უპირველესად, ბატონ პრემიერს და შემდეგ — კონფერენციას!



ბატონი პრემიერი რატომ მიიწვიეს, ნეტავ, იმ შეკრებაზე, აქამდე რატომ არავინ მიუწვევიათ საქართველოდან და არ შეუთავაზებიათ სიტყვით გამოსვლა?

მე თუ მკითხავთ, იმიტომ, რომ არცერთ სხვა ქართველში არ დაუნახავს ამ შემთხვევაში ვიქტორ ორბანს ის, რაც დაინახა ბატონ ღარიბაშვილში — მასში განსხეულებული საქართველო, ნამდვილი, თვითნაბადი და ამას ხედავს ყველა, ვისაც გონების თვალი აქვს; ის, რაც დაინახა კინოდოკუმენტალისტმა რაფაელ ანტონიო გალუეს გარსიამაც, რომელიც საქართველოში „დისქავერისთვის" ფილმის გადასაღებად ჩამოვიდა: „იქნებ, ახალს არაფერს გეუბნებით; იქნებ, ამგვარი აღტაცება სხვა უცხოელებისგანაც მოგისმენიათ, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ ის, რაც მომწონს. იმასაც დავსძენ, რომ თქვენ თქვენი კუთვნილი განძის ფასი არ იცით, არ უფრთხილდებით იმას, რაც მხოლოდ თქვენ გაქვთ. აქ, თქვენთან, ყველა კუთხეში თავისებურია ქართული სუფრა — სვანეთში განსაკუთრებით მოვიხიბლე, ხელუხლებლად აქვთ ტრადიციები შემონახული, თუმცა, ცივილიზაციის გავლენა აქაც იგრძნობა და ზოგჯერ ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს გენიალურ ფერწერულ ტილოს რაღაც მიაჯღაბნა უხეირო მხატვარმა.

სვანურ სუფრასთან ერთი ბიჭი სადღეგრძელოს ამბობდა, მე მლოცავდა. არცერთი სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი ბგერების ძალას — ისინი ამ ბიჭის გულიდან მოდიოდნენ, მის თვალებში კი ჩემი სახე ვნახე, რომელიც არასოდეს მინახავს სარკეში...

ჩემს სამშობლოში, პერუში, თითქოს სიყვარული და მეგობრობა არა მხოლოდ გრძნობის, არამედ სიტყვის მნიშვნელობითაც გაცვდა, აქ კი სიყვარული და მეგობრობა მთელი ძალით ვიგრძენი. აქ ოჯახის ძალას, მნიშვნელობას, დედის და მამის ფასს მივხვდი.

დამიჯერეთ, რაც აქ ვარ, ჩემში რაღაც ხდება, თითქოს გული მთლიანად გადამისხვაფერდა. ასე მგონია, ვალდებული ვარ, რასაც მე ვგრძნობ და განვიცდი, სხვებსაც აუცილებლად უნდა გადავცე საქართველოს გარეთ.

აქ ვივიწყებ ყველაფერს, რაც ოდესმე არ მომწონდა, მტკიოდა. ასე მგონია, სამყაროც კი არ არსებობდა საქართველოში ჩამოსვლამდე. დავდივარ ზოგჯერ მარტო, წვერმოშვებული, მოხეტიალე მოგზაურივით ჩაცმული. არ მაწუხებს ჩემი გარეგნული იერი, რადგან, ამერიკისგან განსხვავებით, აქ უმეტესად ისეთ ხალხს ვხვდები, ვისაც ჩემი ჩაცმულობა და იერი კი არა, ღვინოსავით და თაფლივით ტკბილი და ნატურალური სიყვარული აინტერესებს... ხელს აუწევ, უცხო აქცენტით ეტყვი გამარჯობას და ჯერ ფარული ეჭვით შეგათვალიერებენ და თუ სამტროს ვერაფერს შეგამჩნევენ, თან გადაგყვებიან, თუმცა, აქაურ ახალგაზრდებსაც უცხოური ცხოვრება უფრო ხიბლავთ.

მერწმუნეთ, იქ, თქვენგან შორს, შინაარსი არაფერში დევს, ყველაფერი ზედაპირულად ეფექტურია. მიუხედავად იმისა, რომ აქაც არის შემოსული დასავლური კულტურა, ცხოვრების ამერიკული სტილი, საბედნიეროდ, ბევრს ჯერ კიდევ არ ავიწყდება, ვინ არიან, საიდან მოდიან, რისი პატრონები არიან... იმათ კი, ვინც ახლაღა გაიტაცა უცხოურმა ყოფამ, ვურჩევ, შეინარჩუნოს ის უდიდესი განძი, რაც ჯერ კიდევ გაგაჩნიათ.

აქაური მიწა თქვენი უძველესი მიწაა. აქაური ბებერი ხეების ჩრდილში თქვენი წინაპრები ისვენებდნენ; ეს ენა, ეს სიმღერა, ცეკვა, ფრესკები — თქვენია, ამერიკაში კი ამ ყველაფერს იგონებენ, ერს ხელოვნურად ქმნიან, ანუ იქით მიდიან, რაც თქვენ ათასწლეულების მანძილზე შექმენით".

„ირაკლი ღარიბაშვილი ფაშისტურ კონფერენციაზე დასასწრებად ჩადის უნგრეთში!" — განგაშის ზარები შემოჰკრა სალომე სამადაშვილმა. ვინმემ გადასცეს, რომ ჩვენი პრემიერი ერთ-ერთი სპიკერიც იქნება და სიტყვაშიც გამოვა.

ვინმე ლადო ბუდაღაშვილი საქვეყნოდ გაჰყვირის: „ჩემი აზრით, ღარიბაშვილის მკვლელობა ისეთივე აუცილებელია, როგორც დასნეულებული სხეულიდან სიმსივნის ამოკვეთა. არავითარი ცხელი გონება ან გაბოროტება, სახელმწიფოს, ისტორიის, საზოგადოების კონტექსტში, ეს ისეთივე გამართლებული, აუცილებელი და საჭიროა, როგორც თავის დროზე ყორღანაშვილის ჩაძაღლება. ხომ ვამაყობთ იმ ადამიანებით, თავის დროზე მოღალატეებს რომ გამოჭრა ყელი ან შუბლი გაუხვრიტა? ხომ ვამაყობთ ქაქუცა ჩოლოყაშვი-



ლის რაზმის მიერ გამყიდველების დახოცვით?“ (ამ საჯარო განცხადება-მოწოდებაზე შსს-ის რეაგირება მაინტერესებს!)

ძალიან მინდა, სერიოზულად შევხედო ბატონ პრემიერზე თავდასხმას, რომ უნგრეთში პროპუტინისტური შეკრება ტარდება და ამ შეკრებაზე წასვლა პუტინისტობის დადასტურებაა, მაგრამ ძალიან მიჭირს, კმაყოფილი ღიმილითღა ვწერ ამ ყველაფერს...

აღნიშნული კონფერენცია რომ დააფუძნეს ამერიკელებმა, ვლადიმირ პუტინი 22 წლის იყო და საახლობლოს გარდა, არავინ იცოდა მისი არსებობა, მაგრამ 1974 წელს, წინსწრებით, დაფუძნებულ პროპუტინისტურ შეკრებაზე სიტყვით გამოსულა ამერიკის პროპუტინისტი პრეზიდენტი — ხომ ასე გამოდის ამათი აღშფოთება-შეშფოთებიდან? მხოლოდ ერთი ვინმე, ამერიკის პრეზიდენტი, რონალდ რეიგანი კი არ ყოფილა პუტინისტი, არაერთი ქვეყნის მეთაური პუტინისტი ყოფილა იმთავითვე;




თურმე, პროპუტინისტური კონფერენციები ყოველწლიურად იმართება, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად: იაპონიაში, ავსტრალიაში, სამხრეთ კორეაში, ბრაზილიაში, მექსიკასა და სხვა ქვეყნებში (ყველას და ყველაფერს რა ჩამოთვლის), სადაც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნების მოქმედი თუ ყოფილი ლიდერები, დიპლომატები, იურისტები, ბიზნესმენები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები, ვიცე-პრეზიდენტები, სენატორები, გუბერნატორები, კონგრესმენები...

პროპუტინისტურ კონფერენციაზე ტრამპი რომ გამოვიდოდა სიტყვით, გასაკვირი არ არის, ის ხომ ისედაც ეჭვმიტანილი იყო პუტინთან ფარულ კავშირში. საქმე ის არის, რომ ის აშშ-ის რიგით მესამე პრეზიდენტია, რომელიც ამ პუტინისტურ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა.

პუტინისტი ყოფილა ჩვენთვის კარგად ნაცნობი პომპეოც და სხვები და სხვებიც. უმთავრესი კი ის არის, რომ პროპუტინისტური და ჰომოფობიური კონფერენცია ევროკავშირისა და ნატო-ს წევრ უნგრეთში ტარდება ნეოფაშიზმის ზღვარზე მყოფი ორბანის ხელმძღვანელობით. ასეთ მოცემულობაში, სადაც ამდენი ღია და ფარული პროპუტინისტი იკრიბება, სხვა სალაპარაკო რა ექნებათ, სწორედაც რომ ოჯახზე, ტრადიციებზე, ღმერთზე და ათასგვარ სიბნელეზე უნდა ისაუბრონ ბნელეთში ჩარჩენილებმა.

საინტერესოა, ჩვენი განათებული და ნათელში მიმავალი ქართველი ანტიპუტინისტები რა ხასიათზე არიან, ამდენი და ასეთი მასშტაბის პუტინისტების მისწრაფებები რომ გაიგეს, სრულ ჭკუაზე დარჩნენ? „შინ ევროპისკენ“ რა ყოფილა — „შინ, პუტინთან?“

ამერიკის ელჩი საქართველოში რომ უკვე ჭკუიდან გადამდგარა და კაი ძველი ბიჭივით, უბანში გარაჟების საქმის გარჩევებში იღებს მონაწილეობას, ეს უკვე ვიცით.

თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №23-ში, მიწისქვეშა პარკინგის მშენებლობის საკითხი რანაირადღა ეხება უცხო ქვეყნის წარმომადგენელს, რაგინდ მისი ქვეყნის მოქალაქეს ეხებოდეს თუნდაც ირიბადაც კი?

„ამ შენობის მიმართ არსებობს ამერიკის ინტერესიო“, — ბრძანა კელი დეგნანმა. ესეც სტრატეგიული პარტნიორობის ნაწილია, კრემლში აერია, თუ მისი დასაკუთრება ამერიკის მოქალაქის მეუღლის მიერ ევროკავშირში კანდიდატად მიღების ერთ-ერთი პირობაა?

წარმოუდგენელი ამბები ხდება!

ვერ გავიგე, მეპარკინგეა კელი დეგნანი, თუ ამერიკის ელჩი — შეიშალა მსოფლიო?!

ალბათ, ესეც ერთ-ერთი დასავლური ღირებულებაა, როცა ელჩი სხვა საქმესთან ერთად, ასეთ საქმეებშიც ერევა. აბა, სადღა წავიდეს და რა ქნას, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი სტოლტენბერგსაც კი აღარ უჯერებს?

შეხვდა იენს სტოლტენბერგი ირაკლი ღარიბაშვილს მეგობრულად, უწოდა საქართველოს ნატო-ს უახლოესი პარტნიორი და აუხსნა, რომ უკრაინა იყენებს თავდაცვის უფლებას გაერო-ს წესდების შესაბამისად და ნატო ელის, რომ ყველა მისი პარტნიორი მხარს დაუჭერს ამ მიზანს, მაგრამ მაინც ვერ გააგებინა, რომ ნატო-ს უახლოეს პარტნიორს მოეთხოვება უკრაინის მხარდაჭერა არა მხოლოდ იარაღით, არამედ, რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში ჩართვითაც.

კიდევ უფრო ჩაუნართაულა დიპლომატიურ ენაზე: არ ვიცით, როდემდე გაგრძელდება რუსეთ-უკრაინის, ანუ ნატო-სა (თუ არ ვცდები, 31 ქვეყანა) და რუსეთის ომი, მაგრამ რუსული აგრესია ისეთი ტოქსიკური სქემაა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდესო. საყველპურო ენაზე ეს ასე იკითხება: დროის გაჭიანურება აღარ გამოგივათ საქართველოში, რუსეთ-უკრაინის ომი მალე არ დასრულდება და ამიტომ, დროა, გადაეჩვიოთ ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე ექსპორტს, რუსული მარცვლეულისა და ენერგომატარებლების იმპორტს და, საერთოდ, ყველაფერს, რაზეც საქართველოს ეკონომიკა და ბიუჯეტი დგასო.

მაინც ვერაფერი გაიგო პრემიერმა ღარიბაშვილმა და ახლა კიდევ რაღაც პროპუტინისტურ შეკრებაზე მიდის!

გენადი მალკინი (სატირიკოსი) ამბობდა: თუ პაიკებით ხარ გარშემორტყმული, ეს გიქმნის ილუზიას რომ მეფე ხარო. ასეა აშშ-ის საქმეც!..

**Fox News**-ის არხიდან წასვლის შემდეგ, ყველაზე პოპულარულმა წამყვანმა ტაკერ კარლსონმა თქვა: „ამერიკაში თითქმის აღარ დარჩა ადგილი, სადაც ადამიანებს სიმართლის თქმის საშუალება ეძლევათ, მაგრამ მაინც მოიძებნება მცირე ადგილი სიმართლისთვის და ესეც საკმარისია. სადაც სიმართლეს გაიგონებთ, იქ არის იმედიც!“

წერილს იმ კონფერენციის წლევანდელი დევიზით დავასრულებ, რომელზეც ბატონი პრემიერი მიბრძანდება და რის გამოც გონება არაერთს დაუბნელდა — „ერთად ჩვენ ძლიერები ვართ!“

**P.S: „ინდოეთში ყოფნისას, უდაიპურისკენ მიმავალ გზაზე გიდი შემეკითხა:**

**— ალბათ, ქართული ენა ინდოევროპულ ოჯახს განეკუთვნება?**

**— არა, ქართულ ენას თავისი საკუთარი ოჯახი აქვს.**

**— რამდენი ხართ ქართველები? — მოწკურა თვალები დამცინავად.**

**— საქართველოში, დაახლოებით, 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. საქართველოში ქართველები ვიქნებით, ალბათ, სამი მილიონი, — ვუპასუხე მე.**

**— და სამ მილიონ ადამიანს საკუთარი ენის ოჯახი გაქვთ? შეუძლებელია! — შეიცხადა მან.**

**— დაგუგლე, სუშანტ, — ვუთხარი მე, რადგან იგი ინტერნეტს აქტიურად იყენებდა.**

**დაგუგლა. ჩუმად არის. ხმას არ იღებს. ფანჯარაში იყურება. კიდევ დაგუგლა. კითხულობს... ისევ ჩუმად იყურება ფანჯარაში.**

**— რაო, რა წერია? — ვერ მომითმინა გულმა.**

**უცბად მოტრიალდა გიჟივით: მთელი ევროპის ენა ინდოევროპული ენის ოჯახს ეკუთვნის და ვინ ხართ თქვენ, ქართველები, რომ ასე მცირე ხალხს ენის საკუთარი ოჯახი გაქვთ?**

**უცბად ამიდუღდა სისხლი: ჩვენ, ქართველები... — აქ ხმა ჩამეხრინწა და ველარ ამოვიღე... თვალები ცრემლით ამევსო...**

**ახლა მე გავიხედე ფანჯარაში.**

**მანქანა მიჰქროდა უდაიპურისკენ და მე გულში ვიმეორებდი: „ჩვენ, ქართველები...“ (ასტროლოგი რამაზ გიგაური)**

**ნინო დაუშვილი**

# პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროში სხვადასხვა ქვეყნის მუდმივ წარმომადგენელს შეხვდა



**მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის დინამიკა მიმოიხილეს. ხაზი გაესვა საერთო ინტერესების საფუძველზე თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელობას.**

**პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ გლობალური პარტნიორობის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.**

**საუბარი შეეხო ეფექტიანი რეფორმების გატარების კუთხით საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, აგრეთვე გამოითქვა სხვადასხვა სფეროში წარმატებული და საერთაშორისოდ აღიარებული ქართული რეფორმების გამოცდილების გაზიარების მზადყოფნა.**

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სხვადასხვა ქვეყნის მუდმივ წარმომადგენლებს საქართველო უკვე რამდენიმე წელია მასპინძლობს. ელჩების ვიზიტის მიზანია ქვეყნის განვითარების, ეკონომიკური შესაძლებლობებისა და გატარებული რეფორმების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.**

**შეხვედრას ესწრებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბენინის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი მარკ ჰერმან გნინადოუ არაბა, კომოროს მუდმივი წარმომადგენელი ისმაილ ჩანფი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი ჟორჟ ნზონგოლა ნტალაჯა, დომინიკის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი ხოსე ალფონსო ბლანკო კონდე, ლიბიის მუდმივი წარმომადგენელი თაჰერ ელსონი, სენტ-ლუსიის მუდმივი წარმომადგენელი მენისა მარსელ რამბალი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დავით ბაქრაძე.**

# კახა კალაძე: ყველა იმ ადამიანს ვუხდი მადლობას, ვისთვისაც მშვიდობა და სამშობლო უპირველესია



**პირველი რესპუბლიკის მოედანზე მოძრაობა „აი უცნობის“ ორგანიზებით გამართულ აქციაზე მშვიდობისა და ქვეყნის წარმატების მოსურნე ბევრი ადამიანი იყო გამოსული.**

**კახა კალაძის თქმით, საქართველოს ხელისუფლება, გარკვეული წინააღმდეგობების მიუხედავად, ქვეყნაში მშვიდობის შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებს.**

**„აქციას ჰყავდა თავისი ორგანიზატორები, ძალიან ბევრი ადამიანი იყო გამოსული. მე ერთ რამეს ვიტყვი – ყველა იმ ადამიანს მინდა მადლობა გადავუხადო, ვისთვისაც მშვიდობა მნიშვნელოვანია, ვისთვისაც სამშობლო არის უპირველეს ყოვლისა. მინდა, ყველა იმ ადამიანს გადავუხადო მადლობა, ვინც გამსჭვალულია პატრიოტიზმით, ვისაც უხარია ჩვენი ქვეყნის წარმატება, ეკონომიკური განვითარება. მშვიდობა დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ გადავხედავთ, რა ხდება მსოფლიოში, რა ხდება რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრია შემოტევა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მშვიდობა შევინარჩუნოთ და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მოხდეს“, – განაცხადა კახა კალაძემ.**

**რაც შეეხება კითხვას, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ბიძინა ივანიშვილის ფორმალურმა დასანქცირებამ, კალაძე ამბობს, რომ ეს უშედეგო იქნება.**

**„შედეგები – არაფერი. რა სურვილიც აქვთ მათ, რისთვისაც დგამენ ამ ნაბიჯებს, რატომაც აკეთებენ ამას, შედეგს ვერ მოიტანს, იმიტომ რომ არ იცნობენ ბიძინა ივანიშვილს. ბიძინა ივანიშვილს ნამდვილად ვერ დააშანტაჟებენ თანხებით, ფინანსური სანქციებით, რათა მან არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს, არასწორი ნაბიჯი გადადგას ქვეყნის, ხალხის საწინააღმდეგოდ. ბიძინა ივანიშვილის ფენომენს არ იცნობენ და ეს არის სამწუხარო რეალობა“.**

# ქართველ მწერლებს უცხოეთში „გამოცემული“ წიგნების მთელ ტირაჟს საქართველოში ატანენ



**საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეს, პოეტ ბადათერ არაბულს ამჯერად მწერლობაში შექმნილ პრობლემებზე ვესაუბრეთ:**

— მთავარი პრობლემა მწერალსა და მკითხველს შორის ერთგვარი გაუცხოებაა. წიგნებიც საკმაოდ დაბალი ტირაჟებით გამოიცემა და მყიდველიც და მკითხველიც ცოტაა. დღეს წიგნი სოციალურმა ქსელებმა ჩაანაცვლა. ახალი წიგნების გამოცემასაც სწორედ „ფეისბუქიდან“ იგებენ, რაც ფრაგმენტული ცოდნის, განათლების მიღებას უწყობს ხელს. ახალგაზრდები არათუ თანამედროვე, არამედ ჩვენს კლასიკოს მწერლებსაც კი არ იცნობენ, რაც სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ლიტერატურის სწავლების დაბალ დონეზე მიუთითებს. სკოლაში „ვეფხისტყაოსანიც“ კი არ ისწავლება სრულყოფილად. თანამედროვე უნიჭიერეს ქართველ მწერლებს ახალგაზრდა თაობა, ფაქტობრივად, არ იცნობს. მხოლოდ იმ ავტორების შესახებ იციან, რომლებიც „ფეისბუქზე“ აქტიურობენ. იქ კი ყველაფერი ქვეყნდება, რასაც პოეზიასთან და პროზასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ამ „მწერლების“ ახლობელი გულშემატკივრებისგან მათი „შემოქმედება“ შედევრებად, ბრწყინვალე ნაწარმოებებად საღდება და მკითხველმა აღარ იცის, ვის დაუჯეროს, ვისი ნაწარმოებები მოიწონოს და ვისი დაიწუნოს. ჩემი აზრით, „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, რომელსაც ხალხი ვაფინანსებთ, კვირაში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს ახალი წიგნების წარდგენა, ასევე, შეხვედრები, დიალოგები მწერლებთან, გაზეთების რედაქტორებთან, გამომცემლებთან, მთარგმნელებთან, რათა მაყურებელმა იცოდეს, რა ხდება, რა პრობლემებია ამ სფეროში. ამის ნაცვლად, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ დროის უმეტეს ნაწილს ლიბერასტებზე, ლგბტ თემის წარმომადგენლებზე ფილმებისა თუ სატელევიზიო დადგმების ჩვენებას უთმობს, რაც ახალგაზრდობას სულიერად რყვნის. მივმართავ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობას: მეტი დრო ახალგაზრდა თაობის განათლების, მათი სულიერი და ზნეობრივი აღზრდის თემებზე გადაცემების მომზადებას დაუთმეთ, რათა ღირსეული, ინტელექტუალური საზოგადოება ჩამოყალიბდეს. ეს მიმართვა განათლების სამინისტროსაც ეხება. ქართული სახელმძღვანელოების შედგენაში, პირველ რიგში, მეცნიერები და მწერლები უნდა მონაწილეობდნენ. საბჭოთა პერიოდში, ამ მხრივ, უკეთესი ვითარება იყო — საქვეყნოდ აღიარებულ მწერლებს სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევდა. ჩვენ პატარა ერი ვართ და წიგნის მცირე ტირაჟის გაყიდვით მწერალი ოჯახის რჩენას ვერასდროს შეძლებს. მაშინ, რა ვქნათ — უარი ვთქვათ მწერლობაზე, პოეზიაზე, პროზაზე, თარგმანზე, რაც ერის სულიერების სარკე და სიმდიდრეა?! მწერლობის გარეშე ერი, ქვეყანა სრულყოფილი ვერ იქნება. ერთ ცნობილ ფაქტს გაგახსენებთ: ომის პერიოდში, ინგლისის პრემიერს უინსტონ ჩერჩილს წლის ბიუჯეტის ანგარიში მიუტანეს, სადაც კულტურა და მწერლობა გათვალისწინებული არ იყო. ჩერჩილმა იკითხა: რატომ არ არის გაწერილი მწერლობის ხარჯებიო? თანხა აღარ გვეყოო, — იყო პასუხი. მწერლობისა და კულტურის გარეშე, ინგლისი რაში გვჭირდებაო, — უპასუხა ჩერჩილმა და ბიუჯეტი შეაცვლევინა. ჩვენთან კი დღეს ყველაზე მიტოვებული, უყურადღებოდ დარჩენილი მწერალია — წიგნს გამოსცემს და აღარ იცის, სად წაიღოს, სად გაყიდოს. წიგნის მაღაზიას 500 ლარი უნდა გადაუხადო, შენი წიგნი გასაყიდად რომ დადოს. საბჭოთა პერიოდში ყველაზე დიდი შემოსავალი ბიუჯეტში ქართველ მწერლებს შეჰქონდათ. ბიუჯეტში წიგნის გაყიდვიდან შესული თანხა ქუთაისის ავტოქარხნიდან, რუსთავის მეტალურგიული და სხვა ქარხნებიდან შესულ თანხებს აღემატებოდა. დღეს მწერლობა სავალალო მდგომარეობაშია. მეტიც, მწერალთა კავშირის შენობა ქვეყნის, ხალხის მტერმა, მისმა მოძულე სააკაშვილმა წაგვართვა იმის გამო, რომ მის მოღალატეობრივ, ავანტიურისტულ პოლიტიკას ვაკრიტიკებდით. კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელიც მცირე ბიუჯეტის ხარჯზე მართლაც ბევრ კარგ საქმეს აკეთებს, დახმარებას გვპირდება. სხვათა შორის, ამ მხრივ, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სამაგალითოა. მათ მწერლებს ყველა არსებული ქონება მფლობელობაში დაუტოვეს. იქ 60 წლამდე ასაკის ცნობილ მწერლებს სტიპენდია 300 დოლარამდე, ხოლო 60 წელს გადაცილებულებს, პრემიების ლაურეატებს სტიპენდიები 600 დოლარამდე აქვთ. აზერბაიჯანული ლიტერატურა უცხოეთშიც აქტიურად ითარგმნება. ჩვენც გვქონდა მთარგმნელობითი კოლეგია, რომელიც, სამწუხაროდ, გაუქმდა. თუ გვინდა, რომ ჩვენი მწერლობა, სულიერება ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც ღირსეულად წარმოვაჩინოთ, ხელისუფლებამ მთარგმნელობითი ორგანიზაციის აღდგენაზეც უნდა იფიქროს.

**— ბატონო ბადათერ, ჩვენში მწერალი ყოველთვის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მერე მწერლები უცებ გააქრეს ეკრანებიდან, პრესიდან. გამონაკლისი სააკაშვილის კარის მწერლები არიან, რომელთა ნაწარმოებების გაცხოველებული პროპაგანდა ხდება. ანუ, მწერლობაში გაჩნდა კლანი, რომელიც ძალიან ჰგავს 30-იანი წლების პროლეტკულტელებს.**

— სრულიად გეთანხმებით. ეს პროცესი სააკაშვილის მოსვლის შემდეგ დაიწყო. მათ ჩათვალეს, რომ აქამდე რაც გვქონდა, შეცდომა და კომუნისტური გადმონაშთი იყო და ლიტერატურაში, მეცნიერებაში, კულტურაში ახალი ისტორიის დაწერა დაიწყეს. დიახ, ღვაწლმოსილი მწერლები სააკაშვილის მხარდამჭერმა ახალგაზრდა ლიბერასტმა მწერლებმა ჩაანაცვლეს. ისინი სხვადასხვა პროექტებში ჩასვეს, გრანტები მისცეს და ასე აღზარდეს საკუთარი მხარდამჭერი თაობა. ლიბერასტი მწერლები ინტერნეტის საშუალებით უცხოელ გამომცემლებს უკავშირდებოდნენ და მათ თავიანთ ნაწარმოებებს სთავაზობდნენ. ამაში მათ აქტიურად ეხმარებოდნენ კულტურის ყოფილი მინისტრები. ფაქტობრივად, რა წიგნები ითარგმნებოდა და იგზავნებოდა უცხოეთში, უცნობი იყო, ეს ჩაკეტილი სფერო გახლდათ. წულუკიანმა ეს პრობლემა აღმოფხვრა, ახლა კონკურსები ღიად ტარდება, სადაც სპეციალური ჟიური განსაზღვრავს, რომელი წიგნი გამოიცეს და რომელი — არა. განა შეიძლებოდა უფროსი თაობის მწერლების გაუფასურება?! სააკაშვილმა ახალგაზრდებს გემოვნება გაუფუჭა, რაც დიდი დანაშაული იყო. კულტურის მინისტრის აქტიური ქმედებით, საბედნიეროდ, დღეს ეს ტენდენცია შეჩერდა.

**— ქართველი მკითხველისთვის უცნობი ავტორები სხვადასხვა გზებით საერთაშორისო ასპარეზზე გადიან და სამშობლოში თავის დამკვიდრებას უცხოეთიდან ცდილობენ... ეს რა არის — შემოსაღების მცდელობა ნამდვილ მწერლობად?**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ამის პასუხად ერთ საინტერესო ფაქტს გავიხსენებ: ერთ-ერთი ქართველი პოეტი გალაკტიონს შეხვდა და უთხრა: ჩემი წიგნი გამოიცა რუსეთში და რუსი მწერლები აღფრთოვანებულნი არიანო. გალაკტიონმა უპასუხა: ახლა ერთი კარგი ქართველი პოეტი იპოვე, ეგ ლექსები ქართულად ათარგმნინე და გენიალური პოეტი იქნებიო. იგივე სიტუაციაა ამ მწერლებთან დაკავშირებითაც. ჟურნალ „ცისკარში“ და „ნობათში“ რომ ვმუშაობდი, ამ მწერლების „შემოქმედების“ გამოქვეყნება ძალიან მიჭირდა. დღეს ეს ხალხი უცხოეთში ბეჭდავს წიგნებს! მერე იქ ხდება მათი რეკლამირება, პროპაგანდა და შემდეგ უცხოური რეკლამით განებივრებულები ცდილობენ, თავიანთი ქართული ნაწარმოებები აქ შემოგვასაღონ. მე წაკითხული მაქვს ქართულ ენაზე მათი ნაწარმოებები. რასაც არავითარი ლიტერატურული ღირებულება არ აქვს. ეს, უბრალოდ, ბლეფია. ვერ გამიგია, რა მოსწონთ მათ „შედევრებში“ უცხოელებს?! საინტერესო დეტალს გეტყვით: წიგნი, რომელსაც უცხოეთში გამოსცემენ, ბაზარზე არ იყიდება. ამიტომ ქართველი მწერლის მიერ გამოცემული წიგნის მთელ ტირაჟს საქართველოში ატანენ. სხვათა შორის, მეც შემომთავაზეს გერმანიაში ჩემი წიგნის გამოცემა, ოღონდ, ჩვენს მაღაზიებში არ შევა და სახლში წაიღეთო, რაზეც უარი განვაცხადე. მოკლედ, ქაოსური სიტუაციაა. სახელმწიფომ ერთგვარი კონტროლის მექანიზმი უნდა შეიმუშაოს.

პირველ რიგში, მწერალი ჯერ მშობლიურ მკითხველთან უნდა სარგებლობდეს ავტორიტეტით. ვიღაცასთან ძმაკაცობის, მეგობრობის გამო უცხოეთში თარგმნიან წიგნებს. საოცარია, უცხოეთში რა მოხდა — თარგმანში, ჩვენში დაბალი დონის პოეტი, უცებ გენიოსი გახდა?! წაიკითხავ მის ლექსს ქართულად და არც რითმა აქვს, ვერც ტრადიციულ ლექსს წერს. ვერლიბრი და თავისუფალი ლექსი ადვილი სათარგმნია. რითმიანი ლექსის უცხო ენაზე თარგმნას დიდი ტექნიკა სჭირდება. ამას რომ თარგმნის უცხოეთში მყოფი ქართველი, თავად დაწერილი აქვს ლექსი ქართულად?! თუ არ დაუწერია, მაშინ ფრანგულად როგორ თარგმნის ისე, რომ ფრანგებს ქართველი პოეტი მოაწონოს!!!

**— გამოდის, ამ მაკულატურამ ნამდვილი მწერლობა გადაფარა?**

— დიახ, დიახ, უზარმაზარმა მაკულატურამ მწერლობა გადაფარა. მაღაზიები „ფეისბუქმა“ ჩაანაცვლა. ყველა ცდილობს, ბედი პოეზიაში, პროზაში სცადოს. მერე ამ ნაცოდვილარს „ფეისბუქზე“ აქვეყნებს, სადაც მისი მეზობელი, დაქალი უკომენტარებს: გენიალური ხარო და ასე მიდის მთელი ლიტერატურული პროცესი. ასეთი პროცესით ხომ, ცხადია, ლიტერატურა ვერ განვითარდება. წიგნი საერთოდ აღარ იყიდება. მხოლოდ საბავშვო ლიტერატურას ყიდულობენ, რადგან მშობლებს სჯერათ, რომ ბავშვებს განათლება უნდა მისცენ. მეხუთე კლასიდან უკვე ბავშვსაც აღარ აინტერესებს წიგნი. 2017 წელს „ბიბლუსში“ ჩემი წიგნი „ხევსურული საგა“ შევიტანე. წელს მოვიკითხე და ვერ გამირკვიეს, რამდენი გაიყიდა, ან რამდენი დარჩა.

**— მწერლის სახელი ადვილი „საშოვარი“ გახდა. მწერალთა კავშირს 750 წევრი ჰყავს. ყველა შემდგარი მწერალია?**

— მწერალთა კავშირი თანამოაზრეთა გაერთიანებაა. კომუნისტების დროს მწერლის კავშირში მიღება მკაცრად ხდებოდა, მათ ბინებს, მანქანებს აძლევდნენ და სხვა პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. დღეს, წესდების მიხედვით, კავშირის წევრობისთვის ღვაწლმოსილი ორი მწერლის რეკომენდაციაც საკმარისია, კანდიდატს კი ორი წიგნი მაინც უნდა ჰქონდეს გამოცემული.

**— რას იტყვით, მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციები რა გავლენას ახდენს ქართულ კულტურაზე, მწერლობაზე?**

— ხშირად ხდება ისე, რომ მწერლები მოდას არიან აყოლილნი. მაგალითად, ბლეიკს და ა.შ. ქართველი მწერლებიც აყოლილნი არიან ამ ტენდენციას, განსაკუთრებით ახალგაზრდები. რიგ მწერლებს მათი გავლენით წიგნში პირდაპირ სექსუალური სცენები გადმოაქვთ, რითაც ქართველი მკითხველის გემოვნებას რყვნიან. აი, ასეთ ლიტერატურაზეა აღზრდილი ახალი თაობა.

დღევანდელ მსოფლიო თანამედროვე ეპოქაში წინ წამოიწია ადამიანის ახალი ტიპის პერსონიფიცირებამ. ეს გახლავთ — უსამშობლო, უწარსულო, უეროვნებო ადამიანის ტიპი, რასაც ხშირად ლიბერალური იდეების წინ წამოწევას უკავშირებენ. აი, ამას ასახავს დღევანდელი პროზა. ეს არის ადამიანი იდენტობის გარეშე. ჯონის ან ნიკის მაგივრად, ბადათერი ან ვახტანგი რომ ჩაწერო, აბსოლუტურად ვერ გაიგებ, ეს გარემო ქართულია თუ ინგლისური. მოქმედების არეალი დღევანდელ ქართულ გარემოს ამახინჯებს და ლიბერასტულს ამკვიდრებს. იმასაც ვეღარ გაიგებ, ვინ წერს — ქალი თუ კაცი. ფორმებისა და სახეების ერთგვარი აღრევა მოხდა. უიდეო, უშინაარსო ნაწარმოებები შედევრებად საღდება, მერე რეკლამას უკეთებენ და საზოგადოებას სთავაზობენ, რომელსაც ამით ვერაფერ ღირებულს ვერ აძლევენ, მხოლოდ უგემოვნობას უყალიბებენ.



თამარ შველიძე
555 23 28 24

# ყველას მოსატყუებელი კბილი მოცვლილი გვაქვს



სულ მაინტერესებდა, რატომ ვეგონეთ ყველა გადამთიელს ზღაპარ „ხუთკუნჭულას“ შემთხზველი ერი, ადვილად მოსატყუებლები. ვფიქრობდი, „ნაცარქექია“ მხოლოდ სათაურით იციან, არ წაუკითხავთ; ანეკდოტები ძუკუზე და ჭიჭიკიაზე, საერთოდ არ გაუგიათ-მეთქი... გამოხდა ხანი და მივხდი, რატომაც ვგონივართ ადვილად მოსატყუებლები — საქართველოს ყველა ხელისუფალს სირაქლემას ცნობილი პოზა უკავია და იმიტომ!

ქართველი ხალხი არ ვართ ადვილი მოსატყუებელი. საუკუნეების განმავლობაში იმდენი ღალატი და ფლიდობა ვნახეთ, როგორც ეთნოსმა, რომ ქართველს ერთი შეხედვით შეუძლია მლიქვნელისა და ფარისეველის ამოცნობა.

იტყოდი კაცი, მე ხომ ვერ გამაცურებენ, რა მენაღვლებაო, მაგრამ არ არის ეს სამყარო ისე მოწყობილი, რომ ქვეყნის ბედი ხალხზე არ იყოს დამოკიდებული და ხალხის ბედი — ქვეყანაზე.



24 აპრილს ევრობიუროკრატიის საგარეო უწყების მეთაურმა ჟოზეფ ბორელმა რომ განაცხადა; „მე წარმოვადგინე გეგმა, რომელიც სცდება ყოველდღიური კრიზისების დარეგულირების ჩარჩოებს. ჩვენ უფრო შორს უნდა წავიდეთ და ჩამოვაყალიბოთ სისტემური მიდგომა იმ ქვეყნებთან, რომლებიც ისე არ აღიქვამენ და უყურებენ მსოფლიოს, როგორც ჩვენო; არის ბევრი ადამიანი, რომელთაც არ სურთ რომელიმე მხარის დაკავება, მაგრამ მათ უნდა დაიკავონ პოზიცია უკრაინაში მიმდინარე ომისა და ჩინეთის როლის ზრდის მიმართო; ჩვენ ვცხოვრობთ ახალ პოლიტიკურ ლანდშაფტში მსოფლიო არენაზეო“ და მერე რა მოიმოქმედა და რატომ, ამისი სახალხოდ თქმის მსურველი სად ვეძებოთ?

ეს ხომ იგივე ის „მონანიე“ ჟოზეფ ბორელია, უმწიკვლო სახით რომ ჩააბულბულა: „არის რაღაცები, რასაც ჩვენ ვთავაზობდით და შემდეგ ვერ შევძელით რეალიზება. მაგალითად, დაპირება, რომ უკრაინა და საქართველო ნატო-ს ნაწილი გახდებოდნენ. ჩემი აზრით, შეცდომაა ის დაპირებები გასცე, რასაც ვერ შეასრულებო.“ საბრალო ბორელი, არ სცოდნია, რომ ნატო-ში არ მიიღებდნენ საქართველოს და ჩვენც დავიჯერეთ ვითომ...

ხელისუფალი რომ ხარ, თავი კი არ უნდა მოიკატუნო, მავანს ის მაინც უნდა გააგებინო დიპლომატიურ ენაზე, რომ იმთავითვე იცოდი, რომ გატყუებდნენ და ფაქტებიც დაუდო, საიდან იცოდი. მე, რიგითმა ნინო დაუშვილმა ვიცოდი ეს ევროპელი ელჩებისგან, ევროპარლამენტარებისგან, პრემიერებისგან, მაკრონისგან და ხელისუფლებამ არ იცოდა?

კარგი, ბატონო! ახლა ის მაინც ხომ იცის საქართველოს ხელისუფლებამ, რა მოხდა 24 აპრილის შემდეგ, არც ამაზე რატომ არ იღებს ხმას?

ის მოხდა, რომ ევროკავშირმა სასწრაფო დარტყმა მიაყენა მოლდავეთის იმ ოპოზიციას, რომელიც დასავლეთის მიერ დანიშნული არ არის და, შესაბამისად, ვერ აკონტროლებენ. ბრიუსელის გადაწყვეტილებით, ევროკავშირის ქვეყნებმა შეიმუშავეს საკანონმდებლო ჩარჩო-პირობები სანქციების შემოსაღებად „იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მოლდავეთის დესტაბილიზაციას ახდენენ.“ საქმე ეხება მოქმედებებს, რომლებიც ევროპული საბჭოს მიერ განიხილება მოლდავეთის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის საფრთხედ. გამომივიდა კორუფციაში ეჭვმიტანილთა ნაკრები მოლდაველებზე დიდი მოლდაველები!

ეს ნაკრები, ევროპიუროკრატები, მზად არიან, შემოიღონ შეზღუდვები ევროკავშირში შესვლაზე და, ამასთანავე, გაყინონ დასავლეთისთვის მიუღებელი მოლდაველების ქონება. რასთან გვაქვს საქმე, ახალი ტიპის გაკულაკებასთან? თურმე ეს „გაკულაკება“ ყოფილა „მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიგნალი ევროკავშირის მხრიდან მოლდავეთის მხარდაჭერის საქმეში.“

სულაც არ ვინაღვლებდი, როგორც ერთი რიგითი ადამიანი, რა ხდება მოლდავეთში, მაგრამ დაინტერესების ორი მიზეზი მაქვს, ერთი — ნახევრძმა მყავს კიშინიოვში და მეორე — საქართველო ჩემი სამშობლოა! ღარიბაშვილისა და სტოლტენბერგის შეხვედრის შემდეგ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოლდავეთის შემდეგ საქართველოს რიგი აუცილებლად და მალე დადგება.

ადრე, სანამ თბილისში სარდაფები და ნახევრადსარდაფები სხვადასხვა ობიექტებად გამოსუფთავდებოდა, უამრავი ვირთხა იყო. მოგეხსენებათ, ვირთხა ცოფის გადამტანი მღრღნელია, თან საკმაოდ აგრესიული. ბებია მარიგებდა, არასდროს მიიმწყვდიო კუთხეში, გასაქცევი დაუტოვე, თორემ შემოგახტება და დაგტკვერსო. ასეა ახლა აშშ-ისა და მის ლაჯებქვეშ მოქცეული ევროპის საქმეც, მსოფლიოს შეაძულეს თავი, ზიზღის კუთხეში არიან მიმწყვდეულები და ყველას ზედ ახტებიან დასატკვერად.

„ხალხის ძალამ“ განაცხადა, ამერიკელ მაღალჩინოსანთა გამონათქვამები საქართველოში „მზარდი ავტოკრატიისა“ და „2024 წლის არჩევნებზე ამერიკელების კრიტიკული როლის შესახებ,“ ერთადერთ რამეზე მიგვანიშნებს, ამერიკელები ყველაფერს გააკეთებენ, რომ 2020 წლის არჩევნების ანალოგიურად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმაცია არ ცნონ და საარჩევნო მარცხის მიუხედავად, ქართველ ხალხს „ნაცმოძრაობის“ აგენტოკრატია მოახვიონ თავსო.

დიახ, ასე იქნება!

საქართველოს, აბრეშუმის გზის ფუნქციის დაბრუნება იქნება, თუ გზატკეცილად გადაქცევა და ამის გამო თანამოსაქმეებთან „ევროპული შეხვედრები“, ამ ეტაპზე მაინც, ვერ უშველის. პატარა, მაგრამ ყველასთვის სახარბიელო ლუკმა — საქართველო, როგორც ყოველთვის, კვლავ მარტოა. ის დიდი გეგმა რომ უკვე შუაგზაზე მაინც იყოს, თავს შეიწუხებდნენ ის აზიის სახელმწიფოები, რომელთა ინტერესშიც საქართველოს სტაბილურობა და მშვიდობა იქნებოდა უპირველესი ამოცანა, ახლა კი, რა... და მოსწრებაზე არიან „ისინიც“... არცერთ ბატონს არ სურს მონა-ყმა ეურჩებოდეს, მით უმეტეს, მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზიის მქონე აშშ-სა და მის ვეზირ ევროპას... რაგინდ ხალხმრავალი აქციები ჩატარდეს საქართველოში „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, ბატონებს ცალ ფეხზეც არ ჰკიდიათ?

რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთმა მოლაპარაკებები არ უნდა აწარმოოს მოლდოვის ამჟამინდელ ლიდერებთან, რომლებმაც მოლდოვა რუმინეთს მიჰყიდეს. კი, მიჰყიდეს, სახელმწიფო ენად რუმინულიც დაუწესეს, მაგრამ საქართველოს გაყიდვას, არ მგონია, აპირებდეს ჩვენი ახლანდელი ხელისუფლება. საკმარისად გაიყიდნენ ქართველი გოგო-ბიჭები სტამბულის მონათა ბაზარზე! ქართული ოცნება არ არის არც ვინმეს მონობა და არც ვინმეს ტყვეობა, ან მძევლობა!

ახლანდელ ხელისუფლებას ვეკითხები: „სამშობლოს ღალატის მუხლი“ რატომ ამოიღო სააკაშვილის ხელისუფლებამ, მიზეზი საკითხავიც არ არის, მათ მიერ სამშობლოს ღალატის ფაქტები სახეზეა, მაგრამ 12 წლის განმავლობაში რატომ არ აღადგინეთ ეს მუხლი, „დაუძინებელმა მეგობრებმა“ აგიკრძალეს? თავადვე ვუპასუხებ: რა თქმა უნდა. ასეთ შემთხვევაში ახლა ხომ გადავსებული იქნებოდა ციხეები სამშობლოს მოღალატე მათი სატელიტი პარტიის წევრებით...

შემოსძახოს მძლავრად დიპლომატიამ, რომ შეწყვიტონ სიცრუე, რადგან არ ვტყუვდებით!

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ გასულ კვირას გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც რუსეთს ავალდებულებს, რომ 2008 წლის აგვისტოს 5-დღიან ომში საქართველოს მოქალაქეებს მიყენებული ზარალის გამო 130 მლნ ევრო გადაუხადოს კომპენსაციის სახით. და კვლავ მეჩხერკბილება ტყუილი ევროპის პირში! — მთელმა ევრობიუროკრატიულმა მანქანამ, უპირველესად კი, სტრასბურგის სასამართლომ, ზედმიწევნით კარგად იცის, რომ რუსეთი არ (აღარ) აღიარებს სტრასბურგის სასამართლოს კომპეტენციას და, შესაბამისად, არც მის გადაწყვეტილებას შეასრულებს. ეს პროვოკაციული სვლა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის არის გამიზნული, რომ რუსეთ-საქართველოს ერთგვარად სტაბილურ ურთიერთობაში რამენაირი ქაოსი შეიტანონ — ესეც ვიცით და ყოველივე ზემოთხსენებულიც!

რამდენიმე დღის წინათ, შალვა რამიშვილმა პლებისციტზე ისაუბრა, — ხალხმა გადაწყვიტოს, სწორია თუ არა ქვეყნის შიდა საქმეებში სხვა ქვეყნების ჩარევაო და შვეიცარიის მაგალითიც მოიყვანა. რუსუდან შარაძემ შეუსწორა, შვეიცარიაში რეფერენდუმიაო. ჩვენ მაგას პლებისციტს ვეძახითო, — არ შეეპუა შალვა.

კარგი, რა, შალვა, ბრუტუსისა არ იყოს, შენც?!

ვერ დავიჯერებ, რომ შალვამ არ იცის, რა განსხვავებაა პლებისციტსა და რეფერენდუმს შორის. იცის, ძალიან კარგად იცის და ისიც იცის, რომ სისტემას არ აწყობს პირდაპირი დემოკრატია, ამიტომ არცერთხელ არ ახსენა სიტყვა „რეფერენდუმი.“

**პლებისციტი** — საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად.

ისევე, **როგორც რეფერენდუმი, პლებისციტიც სახალხო ხელისუფლების განხორციელების უშუალო დემოკრატიის ფორმაა, თუმცა მათ შორის არსებობს განსხვავება.** კერძოდ, **თუ რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, აქვს იურიდიული, პირდაპირი ზემოქმედების ძალა და საბოლოაა, პლებისციტის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისთვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.**

გარდა ამისა, **რეფერენდუმი იმართება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, პლებისციტის ჩატარება კი შესაძლებელია როგორც ამომრჩეველთა, ასევე მათი ნაწილის აზრის გასაგებად. საქართველოში პლებისციტს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი** (ცნობისათვის, ტერმინი მომდინარეობს ძველი რომაული პრაქტიკიდან, რაც აღნიშნავდა მდაბიოების მიერ გამართულ კენჭისყრას რაიმე საკითხზე).

სისტემამ იცის, როგორ მოატყუოს ხალხი, ხალხმა კი არ იცის, როგორ დაიბრუნოს წართმეული ძალაუფლება, არც ის იცის, როგორ მოაშოროს საქართველოს სხეულზე გამოზრდილი სიმსივნე, სახელად „უცხო ქვეყნის მსახურები საქართველოს საზიანოდ“, მხოლოდ ის იცის, რომ სხვისი მოსატყუებელი კბილი დიდიხანია, მოიცვალა.

იტყვი რამეს, საქართველოსთვის სასარგებლოს და თუ „დაუძინებელი მეგობრების“ ინტერესებში არ ჯდება, „რუსეთუმესა“ და „პუტინის მონის“ იარლიყის მოკვრა ერთია, არადა, ეს ანტირუსული კამპანია უკვე აუტანელი გახდა თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თვალნათლივ ჩანს, ვის ინტერესებშია ეს კაკაფონია.

ვინ იხეირებს?

თუ გონიერება ბოლომდე არ ეყოფა ჩვენს ხელისუფლებას და ისევ „პატარა ძაღლის სინდრომი“ დაემართება, საქართველოს ადგილზე ქვების გროვების მომკითხველი ქართველი აღარ დარჩება, მშვენივრად ჭუკჭუკებენ ერთმანეთში პუტინი და ერდოღანი და მშვენივრადაც გაიყოფენ ჩვენს წალკოტს...

ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერი ვიცით...

ყველას მოსატყუებელი კბილი მოცვლილი გვაქვს ქართველებს, შინაურისაც და გარეულისაც, მაგრამ თავსზემოთ თუ ძალა არ გვაქვს, რა ვქნათ, საქვეყნოდ თავი ვატყუებუნოთ გამუდმებით და საქვეყნო საქმე ვაფუჭებინოთ საქართველოს ყველა მავნებელს?!

ნინო დაუშვილი

„ქართველები - ეს არის ხალხი, რომელთა უჯრედები ატარებს შუმერების, ურარტუელების, კოლხების, იბერების, ხალიბების, არიელების და სხვა, პირველი ცივილიზაციებისა და კულტურების შემოქმედთა გენეტიკას. ეს არის დიდი „კარდჰუს ერი“, რომელიც იმდენი ჭამეს გარშემომყოფმა მტრებმა, სანამ არ დააქვეითეს მისი ძლიერება. ისტორიის განმავლობაში მოუწყვეს რამდენიმე ასეული გენოციდი და ეთნიკური წმენდა, ყოველი საუკუნე ეთნიკურ წმენდაში და ჰოლოკოსტში, სრულად ცეცხლში დაწვაში გამოატარეს... მაგრამ საოცარია, რომ ამან მხოლოდ გამოაწრთო ისინი, როგორც ცეცხლი აწრთობს ფოლადს. თვითგადარჩენა და ჭირში არნახული გაძლება ქართველების ეთნიკურ პროფესიად იქცა. ქართველებს დედაქალაქი 29-ჯერ სრულად გადაუწვეს და ოცდაცხრაჯერვე სრულად და უფრო დიდი დიდებით აღდგა თბილისი! ქართველები, მათი დედაქალაქი თბილისი და ფრინველი ფენიქსი ერთი რამით ჰგვანან ერთმანეთს - დაბერებული და დამწვარი ფენიქსი საკუთარივე ფერფლიდან აღდგება და ახალ სიცოცხლეს იწყებს. თბილისის და ქართველების ისტორია დაფერფვლის და ფერფლიდან აღდგომის ისტორიაა. მე ვუწოდებ ქართველებს „ფენიქსის ერს“.

ჰუგო ჰუპერტი (1902-1982),
ავსტრიელი პოეტი,
მთარგმნელი, რუსთველოლოგი

# მოვითხოვთ პატივისცემას, ნუ ცდილობენ, ომში ჩაგვაბან და როგორც ერი, გაგვანადგურონ



**აქცია „მოვდივარ“, სლოგანით: „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ 30 აპრილს, რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა. „არა ომს - მშვიდობა ჩვენს ქვეყანას“, - ეს იყო შეკრებილი ადამიანების მთავარი სათქმელი. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლთა გზავნილის ადრესატი პოლიტიკური სპექტრი და არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ. წვიმიანი ამინდი ხელისშემშლელი ფაქტორი ვერ აღმოჩნდა რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი ათასობით ადამიანისთვის.**

**„საქართველოს ბედი ვერ გადაწყდება მოსკოვში, ევროპასა თუ ამერიკაში, ვისაც არეულობა უნდა, იცოდეს, რომ არ გამოუვა,“ - ეს იყო აქციის მთავარი ხაზი და მიმართულება. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ხელისუფლებას გარკვეული მოთხოვნები წაუყენეს, ქვეყნის პრეზიდენტს კი უნდობლობა გამოუცხადეს.**

**შეკრების ერთ-ერთი მონაწილე საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ხათუნა ხოფერიაა, რომელიც აღნიშნულ თემებზე „საერთო გაზეთთან“ საუბრობს:**

- საოცარი ბედნიერების განცდით დავბრუნდი აქციიდან, ისეთი სითბო და სიყვარული, იმედითა და შემართებით სავსე იმდენი ადამიანი ვნახე! რაც მთავარია, აქციის ორგანიზატორებმა გაამართლეს ყველა იმედი. ხალხი არ იძვროდა ადგილიდან, ციოდა, წვიმას ველოდით, მაგრამ საოცარი მუხტი და განწყობა იყო.

კარგა ხანია, ჩვენი ქვეყანა გარკვეული ზეწოლის ქვეშაა, როგორც არშემდგარი ოპოზიციის, ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან. არის დაშინება, შანტაჟი, საკანონმდებლო ცვლილებების თუ გარკვეული ნაბიჯების დაძალება და ა.შ. რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ეს ყველაფერი კეთდება ქართველი ხალხის სახელით. მათ შორის, ხალხის სახელით აკეთებენ მოწოდებებს, რომ საქართველო უნდა ჩაებას რუსეთის წინააღმდეგ ომში, რათა გაამაგროს უკრაინის პოზიციები... ეს ყველაფერი საზოგადოებაში ძალიან მძიმე ემოციებს და განცდებს იწვევს... ამიტომაც გაჩნდა მოთხოვნა საქართველოს რიგითი მოქალაქეების მხრიდან და საჭირო გახდა შევკრებილიყავით, ხმამაღლა გამოგვეხატა ჩვენი აზრი და, რაც მთავარია, ხაზგასმით გვეთქვა, რომ არავის აქვს უფლება, ჩვენი სახელით ილაპარაკოს, ჩვენი სახელით მტრობდეს ჩვენივე სამშობლოს! შეკრების ძირითადი მიზეზი სწორედ ეს იყო.

გაიგოს ყველამ, რომ საქართველოში ომი არასდროს იქნება, ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს. ჩვენ გვინდა მშვიდობიანი საქართველო, მხარს ვუჭერთ ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკას, პატივს ვცემთ ტრადიციებს, ოჯახს და ყველაზე მთავარსა და მნიშვნელოვანს - ჩვენს სარწმუნოებას!

ჩვენთვის უძვირფასესია ღმერთი და ჩვენი პატრიარქი, რომლის წინააღმდეგაც გამალებული ბრძოლა მიმდინარეობს. მთავარი მოთხოვნაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაიზიაროს ქართველი ხალხის, მოაზროვნე საზოგადოების პოზიციები და მეტი ყურადღება დაუთმოს ადამიანებს.

დიდი ხანია, ქუჩაში არ გავსულვართ. ბიძინა ივანიშვილის წყალობით, 11-წლიანი მშვიდობიანი პერიოდი გვქონდა და არ ვთვლიდით საჭიროდ, რომ ქუჩაში გავსულიყავით, მაგრამ ახლა, როცა ამ მშვიდობას ემუქრებიან, კიდევ ერთხელ ჩავთვალეთ საჭიროდ ერთად დადგომა.

**- აქციის ორგანიზატორების ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ნაციონალური რეჟიმის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება, რასაც საზოგადოების მხრიდან მხარდამჭერი შეძახილები მოჰყვა. ამ დროს რადიკალები აქტიურად დადიან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ქვეყანას სახელს უტეხენ და ანტისახელმწიფოებრივ კამპანიას აწარმოებენ...**

- „ნაციონალური რეჟიმის“ გასამართლება არის ქართველი ხალხის ნება, რაც დიდი ხნის წინათ უნდა აღსრულებულიყო. ეს არის საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მოთხოვნა და არა მხოლოდ იმ ადამიანებისა, ვინც აქციაზე იდგა. „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გასამართლდეს, ყველა იმ დანაშაულის გამო, რაც მან ჩაიდინა!

რაც შეეხება ეგრეთ წოდებული მედასავლეთეების აქეთ-იქით სიარულს, ჩვენ არა ვართ ტოტალიტალური სახელმწიფო. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარიც ის არის, რომ მან დაამარცხა ტოტალიტარიზმი საქართველოში, დაამარცხა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი, მოვიდა ხელისუფლებაში და თერთმეტი წელი გვაქვს ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრება: ვისაც რა უნდა, ამბობს, როგორც უნდა, ისე გამოხატავს პოლიტიკურ პოზიციას. ასე რომ, თუკი სადმე სიარული უნდათ, იარონ! საკუთარი რეიტინგისათვის ზიანის მიყენების გარდა, ეს ადამიანები ვერაფერს აკეთებენ. საკუთარი სამშობლოს შეურაცხყოფით და დაკნინებით მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ დღეს საქართველოში სერიოზული პოლიტიკური ძალა არ არსებობს — არიან დაქსაქსულები, ხოცავენ და ჭამენ ერთმანეთს. ღმერთმა სულ ასეთ მდგომარეობაში ამყოფოთ!

ესენი არიან, უბრალოდ, „კუჭის“ პოლიტიკოსები, პირადი კეთილდღეობის პოლიტიკოსები, რომელთაგან ზოგი დაჭერილია, ზოგზე ძებნაა გამოცხადებული, ზოგზეც საქმეა აღძრული, კორუფციისა თუ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ბრალდებით... ასე რომ, იარონ, რაც მეტს დადიან, მეტად თვალსაჩინო ხდება მათი რეალური სახე და მიზნები. ქართველი ხალხი ნელ-ნელა ჩამოსცილდა „ნაცმოძრაობას“ და როგორც უნდა იყვირონ, არიქა, გვიშველეთ, ვიღუპებითო, მათ დაძახილზე აღარავინ მივა.

**- აქციის ორგანიზატორმა ზაზა პაპუაშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ქვეყნის პრეზიდენტს ლეგიტიმაცია აღარ აქვს, მას ხალხი აღარ ენდობა, გარეშე პირებს კი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობა არ უნდა ჰქონდეთ...**

- აქციაზე ისეთმა თემებმა და მნიშვნელოვანმა საკითხებმა გაიჟღერა, რასაც ხალხი ელოდა და რისთვისაც, ფაქტობრივად, მოვიდა. პრეზიდენტმა ამომრჩევლის ნდობა ვერ გაამართლა და იქვე, აქციაზე, ათასობით ადამიანმა დაადასტურა, რომ მას ლეგიტიმაცია აღარ აქვს. შეკრებაზე, პრაქტიკულად ყველა თემა ამოიწურა, ყველა ადამიანის სათქმელი ითქვა და ხელისუფლებას გადაეცა. დაისვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა განათლების რეფორმა, უმუშევრობა, დაბალი ხელფასი თუ სხვა ყოფითი პრობლემები, რომელთა გამოსწორებაზეც ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. ეს იყო ქართველი ერის ერთიანობის დემონსტრირება, უდიდესი სიყვარულის დემონსტრირება ღმერთის მიმართ, ჩვენი ქვეყნის მიმართ, ჩვენი პატრიარქის მიმართ...

უკვე დიდი ხანია, ადამიანებს უნდათ, დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია ამერიკის ელჩის მიმართ, რომელიც ზედმეტს კადრულობს, თუმცა, ეს მხოლოდ საქართველოში როდი ხდება. მაგალითად, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ცოტა ხნის წინათ განუცხადა ამერიკას, რომ ისრაელი არ არის კიდევ ერთი ვარსკვლავი მათ დროშაზე. თურქეთის თავდაცვის მინისტრმა კი აღნიშნა, რომ ამერიკას მსოფლიოში ვერცერთი ქვეყანა იტანს თავისი აგრესიული პოლიტიკის გამო. ეს მათი მუშაობის მეთოდია. ლათინური ამერიკის ქვეყნებს საერთოდ გაწყვეტილი აქვთ შტატებთან ურთიერთობა, რადგან ამერიკა ხოცავდა მათ პრეზიდენტებს და პატრიოტ პოლიტიკოსებს ავტოკატასტროფებში, ავიაკატასტროფებში და ა.შ. ამერიკის იმიჯი ყველასთვის ცნობილი ახლა უფრო გახდა, რადგან ისინი აშკარად გადავიდნენ აგრესიულ პოლიტიკაზე მას შემდეგ, რაც საშიშროება შეექმნათ თავიანთ ქვეყანაში. აშშ-ში უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციაა, დოლარის მდგომარეობა არის კატასტროფული, ძალიან ბევრი შტატი ფიქრობს კავშირიდან გასვლას, აქედან გამომდინარე კი ბევრი პრობლემა აქვთ. პრაქტიკულად, ეს ყველაფერი გააკეთა ჩინეთის ძალიან მყარმა პოზიციამ აშშ-ის ერთპოლუსიანი პოლიტიკის წინააღმდეგ. ჩინეთმა მკაფიოდ დააფიქსირა, რომ მსოფლიო იქნება მრავალპოლუსიანი და ეს არის მათი ძალიან დიდი დამსახურება, რა თქმა უნდა! არც ჩვენ ვართ მომხრე, რომ ერთპოლუსიან მსოფლიოში ვიცხოვროთ, ანუ დიქტატორულ რეჟიმში განვაგრძოთ ცხოვრება!



**- მაინც, რა არის ამ პატარა ქვეყნის, საქართველოს გზავნილი აშშ-ის მიმართ?**

- საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გარკვევით მიმართა აშშ-ს, რომ ჩვენ ვითანამშრომლებთ მათთან, თუმცა, მათი არ გვჯერა. ამერიკა არის ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყანა, მაგრამ მოვითხოვთ მისგან პატივისცემას, როგორც სუვერენული სახელმწიფო. ნუ ექნებათ მცდელობა, შეურაცხგვყონ, ომში ჩაგვაბან და როგორც ერი, გაგვანადგურონ... ჩვენი სურვილია, გავაგრძელოთ ღირსეული თანამშრომლობა, ისეთი, როგორიც ორ სუვერენულ ქვეყანას შორის უნდა არსებობდეს. ესაა ჩვენი გზავნილი, თუ უნდათ, გაიგონ, თუ არადა, ომი საქართველოში არ იქნება!

**ნონა ქარქაშაძე**

# თბილისის შეკრებამ გამოავლინა ვის მხარესაა ხალხი!



ახალს არაფერს ვიტყვი. ყოველმხრივ გამანადგურებელი ქვათა ცვენიდან ქვეყანა და ხალხი ბიძინა ივანიშვილმა იხსნა. არ ჩამოვთვლი იმ უამრავ სიკეთეს, რაც ბიძინა ივანიშვილისა და მის ოჯახს აქვს საქართველოსთვის მიძღვნილი. ყველაზე მთავრი ისაა, მან ხალხი იხსნა შიშისა და მუდმივი ფსიქოლოგიური ტერორისაგან, მშვიდობა დაამკვიდრა ქვეყანაში და ერი უზნეობის ჭაობში ჩაძირვას გადაარჩინა.

ამ და ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი ღვაწლის გამოა, კბილებალესილი, ხალხისაგან უარყოფილი ოპოზიციური ნაწილი, ახლა უკვე დანაწევრებული და ნაპირზე გამორიყული, მომაკვდავი თევზივით უმწეოდ რომ ფართხალებს.

მზაკვრული ჩანაფიქრი რომ ჩაეფუშათ, ეს მიმდინარე წლის 30 აპრილს თბილისში მოწყობილმა გრანდიოზულმა შეკრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა და ცხადად დაგვანახა, ვის მხარესაა ნიჭიერი და ბრძენი ქართველი ხალხი.

რამდენიმე ნაწილად დაშლილი და ერთმანეთს დაპირისპირებული „ნაცმოძრაობის" შურისძიებით ანთებული ყეყეჩი ლიდერები დღემდე ცალ-ცალკე ცდილობენ რევანშის აღებას. დღემდე ყველა ხერხსა და საშუალებას იყენებენ, მოსახლეობას თვალში ნაცარი რომ შეაყარონ, თეთრს შავად გვაჩვენებენ, ცოფიანებივით დორბლმორეულები ცდილობდნენ და კვლავაც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენონ საქართველოს საერთაშორისო არენაზე.

არ გამოუვიდათ და არც გამოუვათ. ეს იციან, მაგრამ ხმის ჩახლეჩამდე მაინც გაჰყვირიან: **„ივანიშვილი ციხეში, თავისუფლება მიშას!"** არ ეგუებიან მშვიდობიან და სტაბილურ ქვეყანას. დაუსრულებლად დაძრწიან საზღვარგარეთ, უშურველად ხარჯავენ მილიონებს. მოისყიდიან ევროპელ და ოკეანისგაღმელ მექრთამე-ავანტიურისტებს...

დიდებულ მწერალს, მიხეილ კვესელავას „ასერგასის დღეში" აქვს ამგვარი წინადადება: **„მეფისტოფელმა ეს და მრავალი ამგვარი რომ ნახა, შეძრწუნებულმა იმით, რომ ესენი ჯოჯოხეთსაც წაგვიბილწავენო, შემზარავი ხმით იკივლა: სამოთხეში, სამოთხეში, ეგ არამზადები!"**

დიახ, ეს არამზადები ლაფს ბიძინა ივანიშვილის მისამართით იმიტომ ისვრიან, რომ ერის მტრების მიმართ უკომპრომისო მებრძოლი და უამრავი კეთილი საქმის მოთავე ეკონომიურად დაასუსტონ, ქვეყანა კი სისხლისმღვრელ ომში ჩაითრიონ, რომ წინსვლა შეფერხდეს, ამით იხეირონ და ხელისუფლებისკენ გზა გაეხსნათ.

როგორც 30 აპრილის შეკრებაზე ითქვა, ეს გველები სამუდამოდ მოსაშორებლები არიან, მხოლოდ ასე შევძლებთ მათი შხამისაგან ქვეყნის დაიცვას, მხოლოდ ამის შემდეგ დაფასდება ბიძინა ივანიშვილის მიერ გაწეული ღვაწლი და შრომა.

ივანიშვილმა ქართველებს სამშობლო გადაურჩინა, დღეს კი ქართველი ხალხი თავად დაიცავს მის უსაფრთხოებას. შესაძლოა, ვიღაც მასზე იყოს გაბრაზებული, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ საზოგადოების ის ნაწილი ოპოზიციის მზაკვრულ გეგმას შეუერთდება.

ციხეში გამოკეტილი „მიშა დამაქცევარი" ქართული კანონმდებლობის სრული დაცვით, სამართლიანად იხდის სასჯელს. მაგრამ მრჩება უკმაყოფილების გრძნობა იმის გამო, რომ მის მიერ შექმნილი ბოროტების მანქანა ჯერჯერობით კვლავ დაბობღავს, ჯერაც კიდევ, რომ აქვს უნარი, ანთხიოს ბოღმა, ყველამ სააკაშვილის მსგავსად უნდა აგოს პასუხი. და თუ დღემდე ასე არ მოხდა, ეს ივანიშვილის სულგრძელობის დამსახურების გამოა.

თბილისში ჩატარებული გრანდიოზული შეკრების შემდეგ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციონერებს მინდა ვთხოვო: დაიხურეთ ქუდი და წადით, ვიდრე აზვირთებულმა და მოთმიმენადაკარგულმა ხალხმა თქვენი კუთვნილი ადგილი არ მიგიჩინათ!

**ბორის დავითაია**
**სენაკის საპატიო მოქალაქე. რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი**

# სად დაიბადეთ, რომელმა დედამ გაგზარდათ?



## აგვისტოს ომის დროს საქართველოს ერთ მოქალაქესაც კი არ უმოროდიორია, მაგრამ აი, თავდაცვის მინისტრი კი გვყავდა მოროდიორია. მან ომის დროს საქართველო გაძარცვა!

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, დავით კეზერაშვილმა და გიული ალასანიამ საქართველო გაძარცვეს 2008 წლის ომის დროს. „ტიპობა გახდა ახლა სისულელეების ბოდიალი და ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა. მაშინ, როცა ხმის ამოღება იყო საშიში, სახიფათო, ადამიანებს სცემდნენ, იჭერდნენ, კლავდნენ, სახურავებზე აწყობდნენ და გვეუბნებოდნენ დენმა დაარტყაო. ნიკა კვინტრაძე რომ მოგვიკლეს აქ, დადეს მისი ცხედარი და გვეუბნებოდნენ, დენმა დაარტყაო, ეს არ დაგვვიწყებია. ეს ადამიანები დღეს გამოხატვის უფლებებზე და წყლის ჭავლებზე გველაპარაკებიან. ხმას როგორ იღებთ, ნაძირლებო. ნამუსი აღარ არის, შეიძლება ყველაფერზე ისეთი ადამიანები ლაპარაკობდნენ, ვინც არ უნდა ილაპარაკოს?

რომელ სამართალზე მელაპარაკებით, სად იყო სამართალი, სასამართლო თქვენს დროს. რომელი სასამართლო არ მოგწონთ. დღეს ხომ არიან ჩემი მოსამართლეები, მე ვინც გამასამართლა, მე ხომ ამით ძალიან გაბრაზებული ვარ, მაგრამ დღევანდელი სასამართლო ათასჯერ უკეთესია იმაზე, რაც თქვენს დროს იყო. თქვენ როგორ ლაპარაკობთ მაგაზე, ჩვენ ვილაპარაკებთ. არ გვჭირდება სხვა ქვეყნების დარიგება. ია მეტრეველი იყო აქ გამოსული, ირინა ენუქიძე მახსოვს, შვილმკვდარი მშობლები არიან აქ. ერთს არ მოსვლია თავში აზრად, მიშას დროს შვილები რომ დაუხოცეს, ჩვენს ქვეყანას სანქციები დაადეთო. ესენი ვინ არიან, რატომ გძულთ ეს ქვეყანა. ია მეტრეველს ერთადერთი შვილი მოუკალით, თავში აზრად არ მოსვლიათ, სანქციები დაადეთო. მაწამებდით ციხეში, არ მითქვამს არასდროს, სანქციები დაადეთო. რა გინდათ, რატომ გძულთ ეს ქვეყანა, საიდან მოეთრიეთ, კი არ მიკვირს ამათგან. გამიკვირდებოდა ღირსეული საქციელი.



2008 წლის ომის დროს მთელი მაშინდელი ოპოზიცია, ნაცემი, ნაწამები, შეურაცხყოფილი, გადავლილი გამოვედით და ვთქვით, რომ ყველა ერთად უნდა დავდგეთ. ომში წავედი. მეტი რა უნდა გამეკეთებინა, ნაძირლებო. ახლა ერთად არ უნდა ვიდგეთ? სად დაიბადეთ, რომელმა დედამ გაგზარდათ? გიულის გაზრდილი უკეთესი რა იქნება, ქალმა ომში გაგვძარცვა, ეგ მოროდიორი. გიული, შენ ხარ მოროდიორი. ომის დროს საქართველოში ერთი ნივთი არავის მოუპარავს, ერთი ბოთლი წყალი არავის მოუპარავს, მთელი ქვეყანა ფეხზე იდგა. იმ ხალხს, რომელიც თქვენ ფეხებზე გეკიდათ და შეაკალით რუსებს, აქ რომ იყვნენ მიყრილები ქუჩაში, საკვებს უყოფდა მთელი საქართველო. ამ დროს თავდაცვის მინისტრმა, დავით კეზერაშვილმა გაგვძარცვა, რუსეთთან ომში გახდა მილიარდერი. ორი მოროდიორი გვყავდა დეკლარირებული.

ეს არის მაგარი ქვეყანა, აქ ცხოვრობს მაგარი ხალხი. მოროდიორები გყავდათ ხელისუფლებაში. დგანან ახლა და პრორუსები არიან ეგენიო, ამბობენ ჩვენზე, რომ მცემდნენ, კრემლის აგენტოო მეძახდნენ, დღემდე ეგრეა. რომელ რუსეთზე გველაპარაკებით, ყველაფერი მიეცით რუსეთს, თუ რამე შეიძლებოდა. მთელი ეკონომიკა, ენერგეტიკა ჩააბარეთ, ესეც არ იკმარეთ და ჩახდილი უკანალები მიუშვირეთ. ღირსება გინდოდათ აგეყარათ ქვეყნისთვის, ვერ აყრით, ეს ხალხია ამ ქვეყნის ღირსება. ჩვენ ქვეყანას დავიცავთ ღირსეულად რუსების და ყველას წინააღმდეგ.

უკრაინაში გაჩაღებული ომია, მთავრობის არცერთ წარმომადგენელს ერთი ნაკაწრი არ აქვს. მეტიც, წავლენ ლონდონში, აბა, თქვენი ჭირიმე, მიდის ტაშისკვრა. ჩაიყვანენ ვაშინგტონში და ესენიც გახარებულები ხრიან თავს. ასე იყვნენ ესენიც, რატომ ეძახდნენ დემოკრატიის შუქურას, ამ ადამიანების სიცოცხლის ხარჯზე, მიშა, შენ რომ შეახოცე, მაგაში მიიღე დემოკრატიის შუქურის სახელი. აბა, რომელი დემოკრატი ეგ იყო. ჩრდილოეთ კორეასავით გვაცხოვრებდა. არანაირი სასამართლო, სამართალი, ტელეფონებს ვშლიდით, ცოლი ქმარს ვერ ელაპარაკებოდა შიშით. რომელი მედიის დემოკრატია არ მოსწონთ, პირდაპირ ეთერში იგინებიან, ან რა ზრდილობაა ეგ? მეტი რაღა გავაკეთოთ, რა არ მოგწონთ, თქვით.რა დავაშავეთ უფალო, რომ ესინი ჩვენთან ერთად გააჩინე ამ ქვეყანაში, ეს უტიფრები, ეს უჯიშოები ესინი! მახსოვს, რაზეც ესენი ვენებს იჭრიდნენ, იყო „რუსთავი 2"-ის საქმე, რომელიც თავზე დაახია ევროპულმა სასამართლომ. იმ მოსამართლეს ვინმემ ბოდიში მოუხადა? იასთვის არ მოუხდიათ ბოდიში, ენუქიძეებისთვის, შალვას ქვრივისთვის.

# ვითხოვთ პლებისციტურ დემოკრატიას!

**30 აპრილს რესპუბლიკის მოედანზე გამართულ აქციაზე — „მოვდივარ!“ ის ადამიანები შეიკრიბნენ, ვისთვისაც სამშობლოს ერთიანობა, დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, მისი მომავალია მნიშვნელოვანი. აქ იდგნენ ადამიანები, რომელთაც სურთ, მათი ბედი სამშობლოში — იმერეთში, სამეგრელოში, კახეთში და ა.შ. გადაწყდეს და არა ვაშინგტონში, ბრიუსელში... ვისაც უნდა, რომ დამყარდეს ნამდვილი დემოკრატია და არა საელჩოკრატია... ოჯახებით მოსული ადამიანები „საერთო გაზეთთან“ საუბრისას ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ აქციაზე ყოფნის მთავარი მიზეზი მათი შვილების მშვიდობიანი მომავალი, ჯანსაღი პოლიტიკის მხარდაჭერა, საქართველოს გაბრწყინება და, რაც მთავარია, იმის შენარჩუნებაა, რისთვისაც ჩვენი წინაპრები მთელი ცხოვრება იბრძოდნენ. ეს გახლავთ — ენა მამული სარწმუნოება.**




**სოსო მანჯავიძე, პოლიტოლოგი, ისტორიკოსი:** აქციის მთავარი გზავნილებია: შეწყდეს ქართველი ხალხის სახელით მანიპულირება იმ ჯგუფების მიერ, რომლებიც საკუთარი თავისა და მათი უცხოელი დამფინანსებლების ინტერესებს წარმოადგენენ და საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებენ. მათ უკვე ათი წელია, თავი რევოლუციური მოწოდებებით, დესტრუქციით და ა.შ. დაგვამახსოვრეს. აქციაზე სიტყვით გამომსვლელებმა ხელისუფლების მიმართ მოთხოვნები გააჟღერეს, მათ შორის, მეც. რაც შეეხება აქციაზე მომსვლელთა რაოდენობას, მიუხედავად სიცივისა და წვიმის პროგნოზისა, ათჯერ მეტი ხალხი მოვიდა, ვიდრე ოპოზიციას გამოჰყავს. ცუდი ამინდი რომ არა, ბევრად მეტნი ვიქნებოდით. ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ შევეცდებით, აქციაზე გაჟღერებული მოთხოვნები: პლებისციტური დემოკრატია, ორმაგი სტანდარტების აღმოფხვრა და სხვა, შესრულდეს. ამ მიზნით ვქმნით საინიციატივო ჯგუფებს და ვიწყებთ მოქმედებას.

**ბაია ამაშუკელი, ხელოვნებათმცოდნე, რიგითი პატრიოტი:** პირველ რიგში, აქციაზე ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისთვის მივედი, რისთვისაც მამა მთელი ცხოვრება თავდაუზოგავად იბრძოდა. მისი სული ახლა ზეცაში ხარობს. იგი ყოველთვის ამბობდა: მოდი, გავიდეთ, სამშობლო, ქართველობა დავიცვათო. აქციაზე — „მოვდივარ!“ ყველა ის საკითხი წამოჭრეს, რაზეც მამა წლების განმავლობაში საუბრობდა და თავგადაკლული იბრძოდა. იმედი მაქვს, ეს ყველაფერი შედეგს გამოიღებს. მოხარული ვარ, რომ აქცია პარტიული არ იყო. მე არასდროს ვყოფილვარ რომელიმე პარტიის წევრი, მაგრამ ყოველთვის იმ ადამიანების თუ გაერთიანების გვერდით ვიდგები, რომლებიც ჩემს სამშობლოს დაიცავენ. ჩვენ უკვე, 34 წელია, გვიჩიჩინებენ, რომ ქართველი არარაობაა, უნიჭოა, ზარმაცია და ა.შ., ევროპული კი ყველაფერი კარგია. უკაცრავად, მაგრამ, ევროპამაც და დასავლეთმაც მადლობა გვითხრან იმისთვის, რომ ქართველი საკუთარი სისხლის ფასად იგერიებდა თემურ ლენგის თუ სხვა დამპყრობლების შემოსევებს. ქართველმა ერმა საუკუნეების განმავლობაში არაერთი ბრძოლა გადაიტანა ევროპული ღირებულებების დასაცავად. წინარექართველური ტომები ჩვენს კულტურაზე აღმოცენდნენ. ევროპას არ სურს იმის აღიარება, რომ ჩვენ, ესოდენ მცირერიცხოვანი ერი ამდენად მნიშვნელოვანი ვართ და ეზოთერულად და თეოლოგიურადაც ძალიან დიდი ფუნქცია გვაკისრია. მთელ მსოფლიოში ერთადერთი ერი ვარ, რომელსაც ცალკე „სახლი“ გვაქვს ენობრივი იაფეტური, დანარჩენი მსოფლიო ინდოევროპულია. აქ ვისი ჩექმა იქნება — რუსების თუ ნატო-სი, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მით უმეტეს, როცა გარედან თითს გვიქნევენ, კუთხეში დაყენებით გვემუქრებიან — თურმე, მუდმივად ვიღაცის ჭკუაზე უნდა ვიაროთ. ქართველი შეიძლება შიმშილის, კონკრეტული სოციალური საკითხის გამო ქუჩაში არ გამოვიდეს, მაგრამ თუ სამშობლოს დასჭირდა, ეროვნული მუხტი იკვრება. ეს აბსოლუტურად სპონტანური შეკრება იყო, რომელიც სოციალური ქსელების მეშვეობით დაორგანიზდა. ყველას დავანახვეთ, რომ ნაცების საქართველოსგან განსხვავებით, არსებობს სხვა საქართველოც, სადაც მშვიდობა და კეთილდღეობა სურთ. დასავლეთს ამის დანახვა არ უნდა, თუმცა, მე თუ მკითხავთ, მათ ეს ყველაფერი მშვენივრად იციან.

**ედიშერ გვენეტაძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი**: აქციაზე — „მოვდივარ!“ მთელი ოჯახით წავედი, რათა განსაკუთრებულად გარეული და შინაური მანქურთებისთვის მეთქვა, რომ საქართველოს სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორის განადგურება ბევრმა სცადა, მაგრამ თავადვე განადგურდნენ, საქართველო კი დღემდე არსებობს და იოლი დასამარცხებელი არ არის. ამ დღემ ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ დაგვანახვა — რაც უნდა დიდი ქვეყნის წარმომადგენელი ცდილობდეს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას, ხელისუფლების სხვადასხვა შტოზე ზემოქმედებას, ქართველი ხალხი ამას არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება, არ მოითმენს. ზესახელმწიფოთა ზოგიერთ წარმომადგენელს, დიპლომატ-ელჩებს ვურჩევ: ჭკუას მოუხმონ, გადაიკითხონ საქართველოს ისტორია და გააცნობიერონ, რას წარმოადგენს რაოდენობრივად მცირე, მაგრამ თვისობრივად ძალიან დიდი ერი, რომლის სახელი და გვარი საქართველო.

აქცია „ქართული ოცნების“ ორგანიზების გარეშე ჩატარდა. დიახ, ეს აქცია თავად ქართულმა ეროვნულმა სულმა ჩაატარა და დააორგანიზა. აქციაზე მრავლად იყო ჩვენი საამაყო ახალგაზრდობა, მომავალი თაობა. მათი სახით საქართველოს ღირსეული მომავალი ჰყავს. ხოლო ის მანქურთები, რომელთაც რუსთაველი ისე ააოხრეს, როგორც ეს ჯალალ ად-დინსაც არ გაუკეთებია, ძალზედ მცირერიცხოვანნი არიან და ვერასდროს მოერევიან იმ ახალგაზრდებს, რომელთა მთავარი დევიზი — მამული, ენა, სარწმუნოებაა. 7-8 მარტის და დღევანდელ აქციაზე გამოსული ახალგაზრდები ცასა და დედამიწასავით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამ აქციაზე სუფევდა სიყვარული, ქართველთა შორის მომავლის რწმენა და გაჟღერდა ის იდეები, რაც ჩვენმა წინაპრებმა გვიანდერძეს. ეს არის — ღმერთი, სამშობლო, ოჯახი. ჩემი ოჯახით ვიდექი იქ, სადაც სრულიად საქართველოს კაცები და ქალები იყვნენ შეკრებილნი და საიდანაც შინაურ და გარეულ მტრებს ვუთხარით: **ჩვენ არ გვინდა ომი! არ გვინდა არავისი დიქტატი! არავისი არც ჩექმა და არც ბათინკი! არც არავისი მკაცრი მითითებები** — ე.წ. რეკომენდაციები. საქართველოს მოქალაქეებს გვსურს: ავაშენოთ თავისუფალი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფო, სადაც ქალაი იქალებს, ვაჟაი ივაჟებს! ანუ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს!

**ლალი მოროშკინა, პოლიტოლოგი, პროფესორი**: აქციაზე კვლავ ის ადამიანები ვიდექით, რომლებიც ყოველთვის, 2006 წლიდან დაწყებული, ნულოვან ტოლერანტობას ვემიჯნებოდით. რესპუბლიკის მოედანზე ძალიან ბევრი ნაცნობი და მეგობარი ვნახე, რამაც გამახარა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ აქციაზე არ იყვნენ „ქართული ოცნების“ აქტივისტები, საჯარო მოხელეები. მე პირდაპირ კახეთიდან წამოვედი და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა: კახეთიდან არცერთი საჯარო მოხელე არ წამოსულა. ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ აქციაზე პარტაქტივის არყოფნის მიუხედავად, ძალიან ბევრი ადამიანი შეიკრიბა. აქციაზე ითქვა, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობამ საკუთარი კადრების დასჯა უნდა დაიწყოს, რომელთაც ქვეყანა ძალიან ცუდ მდგომარეობამდე მიიყვანეს. მაგალითად, მომეწონა სიტყვით გამომსვლელთა პათოსი, რომელთაც



განათლების მინისტრი და მის მიერ გატარებულ სრულიად უმსგავსო რეფორმები გააკრიტიკეს. ანუ, საუბარი იყო „ქართული ოცნების“ მიერ დაშვებულ არაერთ შეცდომაზე. თუ შეცდომების გამოსწორებას არ დავიწყებთ, 2024 — საარჩევნო წელი ძალიან მალე მოვა და მერე ამის გაკეთება გაცილებით ძნელი იქნება. ისიც გავითვალისწინოთ, როგორი პირკატა ეცათ გამართული აქციის შემყურე ნაცებს. ხომ ყველამ ნათლად დავინახეთ: იქ რეგიონებიდან ძალით ჩამოყვანილი, ყურით მოთრეული არავინ იდგა. აქციაზე ასაკოვანი ადამიანები ვნახე, რომელიც ჩემი წიგნის პრეზენტაციაზეც იყვნენ, ცრემლებიც კი მომადგა. როცა ჩემი წიგნის — „გისოსებს მიღმა საქართველოა“-ს წარდგინება იყო, იქ მხცოვანი ხალხი მოვიდა. მათ შვილები ციხეში ჰყავდათ, რომელთაც თითიდან გამოწოვილი სასჯელების საფუძველზე, შეკრებითობის კანონით 30-40 წელი უნდა მოეხადათ. აქციაზე ისევ ის ხალხი იდგა, რომელთაც სიკეთის სჯერათ. დღეს მათი შვილები, რომელთაც სააკაშვილის ციხეს და ჯალათებს თავი დააღწიეს, თავისუფლები არიან და პატიოსნად შრომობენ. მათ სჯერათ, რომ ხალხი ერთობით ყველაფერს შეძლებს. იმდენ ადამიანს უნდოდა, რომ წვიმა არ წამოსულიყო, ასეც მოხდა. შეიძლება ეს ბანალურად ეჩვენებათ, მაგრამ როცა ათასობით ადამიანი რაღაცას გულწრფელად ითხოვს, ლოცულობს, შედეგი ყოველთვის დგება. ჩემი აზრით, ეს აქცია, საქართველოში ახალი ერას დასაწყისია. ეს იქნება არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ გულშემატკივრების, არამედ თავისუფალი ადამიანების ერა.



**შოთა გლურჯიძე, მხატვარი**: ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ აქციაზე პირველად გაჟღერდა, გახლავთ ის, რომ საქართველოში **პლებისციტური დემოკრატია უნდა დამყარდეს. პლებისციტის კულტურა ისევ უნდა დაბრუნდეს**, რაც, პრინციპში, მხოლოდ ერთხელ გამოვიყენეთ. როდესაც პოლიტიკური აქტორები ვერ თანხმდებიან და ვხედავთ, რომ პოლიტელიტამ ქვეყანა ჩიხში შეიყვანა, ამ შემთხვევაში ხალხმა ძალაუფლება ხელში უნდა აიღოს, უფრო სწორად, მისთვის მიცემული შანსი გამოიყენოს და ქვეყანა პლებისციტით მართოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი იყო. ჩემი აზრით, ორგანიზატორებმა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი დააყენეს, მათ შორის, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვა. ამის მოგვარება ხალხს რეფერენდუმისა და პლებისციტის სახით შეუძლია.

რა თქმა უნდა, ჩვენ იზოლაციაში არ უნდა მოვექცეთ და არ უნდა ვიყოთ რეალურად გარიყული ან მარგინალური ქვეყანა. კი, ბატონო, ურთიერთობები ყველასთან უნდა გვქონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ დიქტატს დავექვემდებაროთ და მათთან მეგობრობის სანაცვლოდ ჩვენი ტრადიციები და ადათ-წესები დავკარგოთ. აქციაზე ესეც მკაფიოდ გაჟღერდა. მოხარული ვარ, რომ ცივი ამინდის მიუხედავად, საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი იქ გაჟღერებულ მოსაზრებებს ეთანხმება. გრძნობს თუ არა ამას დასავლეთი? — მე მგონია, რომ ის ვერ ხვდება, საქართველოში რა ამინდია. მათი ქმედებები, შესაძლოა, მათივე კრახით დასრულდეს.

**ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი**: ასეთი ტიპის აქცია ბევრი როდი გვინახავს. ეს ძალიან რეპრეზენტაციული იყო, სადაც საზოგადოების დიდი ნაწილის განწყობა ჩანდა — ხალხს ბედნიერების განცდა ჰქონდა. დიდი ხანია, მსგავსი რამ არ მინახავს. თავად მანიფესტის ტექსტიც, რაც ზაზა პაპუაშვილმა წაიკითხა, აბსოლუტურად ასახავდა ჩვენი ქვეყნის, ხალხის განწყობებს. არ შემეშინდება იმის თქმა, რომ სიტყვით გამომსვლელებმა გააჟღერეს მოსაზრებები, რაც ხალხის უდიდესი ნაწილის ფიქრებთან, განწყობებთან თანხვედრაშია. ბოლო 30 წლის განმავლობაში იშვიათად მინახავს ხალხის უდიდესი ნაწილის ასეთი ერთიანობა. თითქოს, მართლაც პლებისციტის განწყობა სუფევდა. მთავარი, იცით, რა იყო? — ბოლო 30 წლიდან ხალხმა გამოცდილება გამოიტანა და რადიკალიზმზე მისი პროვოცირება შეუძლებელია. დიახ, დღეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია გარე და შიდა ძალებისგან ჩვენი ხალხის მარტივად პროვოცირება რადიკალიზმზე ან რაიმე მსგავსზე, რაც ქვეყნისთვის საბედისწერო და დამღუპველი იქნება. 1989 წლის 9 აპრილიდან 34 წელი გავიდა და პირველად დავინახე, როგორ იყენებს ხალხი საბედისწერო ისტორიიდან და საკუთარი შეცდომებიდან მიღებულ გამოცდილებას. ამ საზოგადოებრივმა პერფორმანსმა, რაც აქციაზე ვიხილეთ, ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. **რაც ვიხილეთ, ეს ბევრ იურიდიულ აქტზე უფრო მნიშვნელოვანია**. ერთი მხრივ, დავინახეთ საზოგადოების ერთი ნაწილის აღლუმი, პრეზენტაცია და მეორე მხრივ, ის, რომ ე.წ. არაპრეზენტაციული ძალების სრული მარგინალიზება მოხდა, თან ყოველგვარი ძალადობის გარეშე. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

**რამაზ საყვარელიძე, ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი**: საინტერესო იყო, რა რეაქცია ექნებოდა ხალხს განაცხადზე — „მოვდივარ!“. იმიტომ, რომ სოციოლოგიური კვლევებით ადამიანების დიდ ნაწილს არც ოპოზიცია მოსწონს და არც პოზიცია. იყო შანსი, რომ ხალხი ისევე, როგორც ოპოზიციის მიტინგებზე, არც ამ აქციაზე მოსულიყო. მერე იტყოდნენ: ხალხი არც ოპოზიციის მიტინგზე დადის და არც პოზიციისო, ანუ პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებთო. თუმცა ასე არ მოხდა. აქციაზე ადამიანების შთამბეჭდავი რაოდენობა მოვიდა, რომლებიც ძალიან მოწესრიგებულად, ზედმეტი ემოციების გარეშე, ფეხმოუცვლელად უსმენდნენ გამომსვლელებს. რას უსმენდნენ ასე მოწესრიგებულად და ყურადღებით? — აი, ეს არის ყველაზე საინტერესო. ეს ხალხი უსმენდა იმას, რომ მიუღებელია „ნაცმოძრაობის“ მობრუნება, მეორე ფრონტის გახსნის მოწოდება, თუნდაც ჩვენი პარტნიორებისგან, რადგან ეს უკვე შიდა საქმეებში ჩარევა იქნება. აი, სწორედ ამ სულისკვეთებამ, რასაც აქციის მონაწილეების, სიტყვით გამომსვლელების მხრიდან — საქართველო უპირველეს ყოვლისა დაერქვა, შეკრიბა და გააერთიანა ეს ხალხი. იქ არ იყვნენ პასიური ადამიანები, ე.ი. საქართველოში არსებობს ადამიანების დიდი ნაწილი, რომელსაც ქვეყნის ბედ-იღბალი აწუხებს. მავანის მხრიდან იყო მცდელობა, იქ შეკრებილი ადამიანების დიდი რაოდენობა ადმინისტრაციული რესურსით მოყვანილად გაესაღებინათ. ხაზგასმით მინდა ვთქვა: შვილმკვდარი დედები და მამები ადმინისტრაციული რესურსით არ მოდიან. იქ იდგა საზოგადოება, რომელიც ასეთი სპეკულაციების ადგილს არ ტოვებდა.

**ლევან მამალაძე, სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი**: პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ეს აქცია საჭირო იყო. დღეს ყველა ოპოზიციური დაჯგუფება შეკვეთილ, დაფინანსებულ აქციებს ატარებს, განსაკუთრებით, მეხუთე კოლონა. ანუ, წესრიგის დამყარების, რეგულაციების შემოღების კუთხით, მოწინააღმდეგეთა რაოდენობა ძალიან გაიზარდა. განსაკუთრებით იმ მიმართულებით, რაც საქართველოში უცხოეთიდან პოლიტიკური ჯგუფებისა და საზოგადოების სექტორის დაფინანსებას უკავშირდება. ბუნებრივია, მათ ფინანსებზე კონტროლი არ აწყობთ. გავლენის აგენტებს არ სურთ სახელმწიფოსგან კონტროლდებოდნენ. უცხოეთში მოქმედებს კანონი, დაწესებულია რეგულაციები, რის მიხედვითაც პოლიტიკაში შემოსულ თანხებს კანონი არეგულირებს. ასეა, იგივე, აშშ-შიც. ჩვენ ამის საშუალებას არ გვაძლევენ. ეს უბრალოდ იმის მაგალითია, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მიმართ. ამიტომ, აქციას „მოვდივარ!“ მივესალმები, მაგრამ ვფიქრობ, ცოტა დაგვიანებულია. აქცენტები რაც აქციაზე სიტყვით გამომსვლელებმა დასვეს, უფრო მკაფიო უნდა იყოს. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია გავერკვეთ: რა გზა უნდა აირჩიოს საქართველომ, რა სურს ქართველ ხალხს და ა.შ. რეფერენდუმების, პლებისციტების საკითხის დაყენებას მივესალმები, ეს კარგია. აქვე ერთ რამეს ვიტყვი: ქვეყანაში იმდენად დიდი კრიზისია, მორღვეულია სტანდარტები და წესები, რომ საჭიროა სიახლე, რასაც არც აშშ გვთავაზობს, არც რუსეთი. ეს უკანასკნელი, აგრესიის გარდა, საერთოდ არაფერს გვთავაზობს. ამ სიტუაციაში უნდა შევქმნათ ის მაგალითები, რაც ჩვენი ხალხისთვის, სახელმწიფოსთვის ყოველთვის შედეგის მომტანი იქნება. ურთიერთობაც მათთან უნდა გვქონდეს, ვინც ჩვენს სუვერენიტეტს, ტრადიციებს, ღირებულებებს პატივს სცემს. მე ასე მიმაჩნია. ამ საკითხებზე იყო საუბარი აქციაზეც, მაგრამ ამ ყველაფერს პროფესიონალურ დონეზე მუშაობა, აქცენტების მეტად გამოკვეთა სჭირდება, რაც მნიშვნელოვანია. მედიამ აქციის გაშუქებისას აქცენტი სულ სხვა რამეზე გააკეთა — ხალხი რეგიონებიდან მიკროავტობუსებით ჩამოიყვანეს და ფული გადაუხადესო.

ყველამ ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს: ნაცების — მეხუთე კოლონის აქცია იქნება თუ სხვა, ყველას ორგანიზება სჭირდება. ცხენით ან აქლემით არავინ მოვა. ბუნებრივია, რომ ადამიანები აქციაზე მოსასვლელად ტრანსპორტს იყენებენ და ამას შესაბამისი ორგანიზება სჭირდება. ასეთ თემებზე მსჯელობა, სისულელეა. მედიამ ხალხის ავტობუსით მოყვანის გამო კი არ უნდა აკრიტიკოს აქციის ორგანიზატორები, არამედ იმ საკითხებზე იმსჯელოს, რაც აქციაზე გაჟღერდა. სამწუხაროდ, ამ თემებით მეხუთე კოლონის მედია არ ინტერესდება. სამაგიეროდ, მთელი დღეა, არკვევენ: ავტობუსებით ჩამოიყვანეს მომიტინგეები, თუ ტაქსი გამოუძახეს. ვიმეორებ, ის საკითხები, რაც აქციაზე გაჟღერდა, საკმაოდ მნიშვნელოვანია და ქართულმა საზოგადოებამ იქ მისვლით, ვფიქრობ, საკუთარი აზრი კაფიოდ დააფიქსირა. აქვე ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც გასათვალისწინებელია: დღეს სახელმწიფოში რეალური ოპოზიცია არ არსებობს. გახდება თუ არა გუშინდელი აქციის ორგანიზატორთა ჯგუფი რეალური ოპოზიცია, ძნელი სათქმელია. ისინი ჩემი მეგობრები, თანამოაზრეები არიან. მე საქართველოში არ ვიმყოფებოდი და ამ პროცესში მონაწილეობა ვერ მივიღე. ვისურვებდი, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ახალი ტალღა — სახალხო მოძრაობა დაიწყოს. უნდა შეიქმნას ხელისუფლების ალტერნატივა, რეალური ოპოზიცია, რომელიც საზოგადოებას სიახლეებს, პრობლემების მოგვარების უფრო მარტივ და ეფექტურ გზას შესთავაზებს. თუნდაც, საზოგადოებას დაანახებს, რომ მას ხელისუფლებაზე უკეთ შეუძლია არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. ანუ, ის სახელმწიფოსთან ქიშპობით, ბრძოლით, ძირის გამოთხრით და დასავლეთთან ქვეყნის დაბეზღებით კი არ იქნება დაკავებული, არამედ რეალურ ალტერნატივას შექმნის და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას გააჯანსაღებს.

10 გვ.

# ვითხოვთ პლებისციტურ დემოკრატიას!

← 9 გვ.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი**: ეს აქცია, პირველ რიგში, ჩვენი დაუძინებელი პარტნიორებისთვის გზავნილი იყო — ქვეყანას გააჩნია იმ ტიპის საზოგადოებრივი რესურსი, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმას, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში ე.წ. პარტნიორი ცხვირს ჰყოფდეს. ხაზგასასმელია, რომ აქცია პოლიტიკური მნიშვნელობის არ იყო. ანუ, მას არ გააჩნდა რომელიმე ჯგუფის, გუნდის, ორგანიზაციისთვის სასარგებლო დატვირთვა. თორემ, თავისი არსით და მნიშვნელობით, ბუნებრივია, პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, აქციამ „მოვდივარ!“ მიზანს მიაღწია — გზავნილი ადრესატამდე მივიდა. ე.ი. აქციამ იმუშავა. ახლა, უკვე, საჭიროა, ნელ-ნელა, ისეთი მექანიზმები ჩამოყალიბდეს, რომელიც 2024 წლამდე პოლიტიკური კონგლომერატის სახით ბრძოლის ეფექტურ მანქანას შექმნის. შედეგად იმ ადამიანების სელექცია, გადარჩევა მოხდება, რომელთაც საჯარო რესურსი და სოციალური კაპიტალი გააჩნიათ და რომელთა საქმიანობა, პროფესიონალიზმი, პატიოსნება და წესიერება, საზოგადოებაში კითხვის ნიშნებს არ ბადებს. სწორედ ასეთი ნდობით აღჭურვილი ორგანიზაცია იქნება ის რეალური ძალა, რომელიც მომავალ პარლამენტში საპატიო ადგილს დაიკავებს. მას ექნება შესაძლებლობა, რომ ეროვნულ ინტერესებზე მორგებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე შესაბამისი პასუხი გასცეს.

**თამარ ჩიბურდანიძე, ექსპერტი დემოგრაფიულ საკითხებში, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი:** 30 აპრილს რესპუბლიკის მოედანზე გამოვიდა დასავლეთის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად გაბრაზებული ქართველი ხალხი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უკრაინის ომი დაიწყო და საქართველო არ ჩაერთო ამ ომში, ქვეყნის ხელისუფლება სერიოზულ ზეწოლას და ანტიქართულ რიტორიკას უძლებს უცხოელი პატრნიორების მხრიდან. თუმცა, ხალხი მანამდეც ითხოვდა გარეთ გამოსვლას, რადგან ქართველი კაცისთვის, ვისთვისაც ღირსება უმთავრესია, რელიგიის, ეკლესიის, ოჯახის შეურაცხყოფა არის დამანგრეველი.

არ დატოვა ქართულმა ოპოზიციამ, მათ მხარდამჭერ დასავლელ პატრნიორებთან ერთად, არაფერი ღირებული, რომ არ გაელანძღათ. თითქოს შეგნებულად გაუკეთეს ამ ყველაფერს პროვოცირება, რადგან ასეთი მიზანმიმართული ქმედება ქართული ღირებულებების წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიას, ალბათ, ჯალალედინის შემდეგ არ ახსოვს. როდესაც რუსი ეგზარქოსები ქართულ ეკლესიებს, ფრესკებს შეურაცხყოფდნენ და განძი ქვეყნიდან გაჰქონდათ, იმ პერიოდშიც კი, რუსებს ეშინოდათ, რომ ქართველი კაცის ღირსების შეურაცხყოფა ძალიან ძვირად დაუჯდებოდათ. რუსი ოკუპანტია და ეს ოკუპაცია დღემდე გრძელდება, მაგრამ მე ვსაუბრობ სარწმუნოებრივ შეურაცხყოფაზე. ალბათ უცხოეთმა არ იცის, არ იციან არც ოპოზიციის წარმომადგენლებმა, უცხოელმა დეპუტატებმა თუ კონგრესმენებმა საქართველოს ისტორია. არაერთხელ ვთქვი, რომ წააკითხეთ ამ ხალხს საქართველოს ისტორია და ამის შემდეგ ასე აღარ მოიქცევიან! ქართველ ოპოზიციაზე არაფერს ვამბობ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ მათ რასაც დაუწერენ, წერტილ-მძიმისა და მახილის




ნიშნის ჩათვლით, სად როგორი ემოცია უნდა გამოხატონ, სად უნდა გაიცინონ, ან გაიღიმონ, - ეს დირექტივაც კი უცხოეთიდან აქვთ მიღებული. პოზირებენ სიტყვით გამოსვლის დროს, საუბრის დროს, რომ არაფერი შეეშალოთ, ისე არ მოხდეს, რომ დამკვეთი გაანაწყენონ... მაგრამ უკვე მეტისმეტი მოსდით, ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ. ქართველი ხალხიც მივიდა იმ ზომამდე, რომ ამ ყველაფრის მოთმენა შეუძლებელია.

ეს იყო საზოგადოების აქცია, აპოლიტიკური იმდენად, რამდენადაც პოლიტიკოსების მიერ არ იყო მართული, თუმცა ამავე დროს, ხალხს ჰქონდა სუფთა პოლიტიკური მოთხოვნები, რადგან პოლიტიკა განაგებს დღეს ჩვენს ქვეყანას. ათასობით ადამიანი შეიკრიბა, გაცილებით მეტმა კი, უამინდობის თუ სხვა ხელისშემშლელი ფაქტორის გამო ვერ შეძლო მოსვლა. რადგან სათქმელი არაფერი დარჩა ოპოზიციას, დაიწყეს ქილიკი იმ ადამიანების ასაკზე, ვინც აქციაზე იდგა. დიმიტრი ხუნდაძემ ძალიან კარგად აღნიშნა, რომ სწორედ იმ თაობამ, ვინც რესპუბლიკის მოედანზე იდგა, მოგვიტანა საქართველოს დამოუკიდებლობა 30 წლის წინ, ეს თაობა იბრძოდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ტერიტორიული მთლიანობისთვის, ეს თაობა იბრძოდა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ, ეს თაობა კვლავ დგას დღეს ქუჩაში, რათა დაიცვას ქვეყანა განადგურებისგან, ფარული აგრესორისგან, დაიცვას საქართველოს სუვერენიტეტი, ანუ - მათივე მონაპოვარი! დასაბუთებულ პასუხს გავცემ მათ ქილიკს და ვეტყვი, რომ ყველა ქვეყანაში, ყველა დროში, არჩევნების ბედს წყვეტს სწორედ ის ასაკობრივი სეგმენტი, რომელიც რუსთაველზე იდგა და რომელსაც ეს უვიცი, უზრდელი ადამიანები დასცინიან. რეალურად კი, ამ აქციით ოპოზიციამ დაინახა, რომ 2024 წლის არჩევნებისთვის მათი ბედი გადაწყვეტილია, მათ ქართველმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ უთხრა - არა!

**დავით ქართველიშვილი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი:**

აქციამ ჩემს რამდენიმე კითხვას გასცა პასუხი. პირველი ისაა, რომ - IRI-ის ბოლო კვლევებში მე ვერც საკუთარი თავი დავინახე ამ ქვეყანაში და ვერც ჩემი თანამოაზრეები აღმოვაჩინე. აქციაზე კი დავრწმუნდი, რომ თურმე აქ ვართ ის ადამიანები, რომლებსაც 1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული დღემდე, მუდმივი ბრძოლა გვიწევს საკუთარი არა მხოლოდ დე იურე, არამედ დე-ფაქტო დამოუკიდებლობისათვის.

დღეს, ქვეყნის დამოუკიდებლობის 32-ე წელიწადს, ისეთი საფრთხის წინაშე დავდექით, „ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთო“, რომ ვიტყვით ქართველები. საბჭოთა იმპერიას 32 წლის წინ გავეყარეთ, მაგრამ დადგა ასეთი მოცემულობა, რომ „უის“ უნდა გადავეყაროთ იმ ახალი, გაუგებარი ურთიერთობებით, რასაც კოლონიზატორისა და ვასალის ურთიერთობა ჰქვია.

ამიტომ პირველი პასუხი კითხვაზე მივიღე. ჩვენ ვარსებობთ, ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებსაც სურთ დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ვითხოვთ ჩვენი მეგობრებისგან ურთიერთობების პარტნიორულ გამყარებას, ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობას. ჩვენ ძალიან კარგი პარტნიორი ვართ, მაგრამ - ძალიან ცუდი ვასალი და ეს არაერთხელ დაგვიმტკიცებია არსებობის განმავლობაში. თუკი რომელიმე იმპერიამ და კოლონიზატორმა სცადა ჩვენთან არასათანადო ურთიერთობების დამყარება, ეს დიდიხანს არ გაგძელებულა. ზოგი მათგანი აბსოლუტურად გაქრა ჰორიზონტიდან, მაგრამ საქართველო დღესაც არსებობს.

ჩემთვის, როგორც „ხალხის ძალის“ წარმომადგენელისთვის, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის მოთხოვნა ამერიკელ თუ ევროკავშირის ელჩებთან, თანაბარუფლებიანობის პრინციპის წამოწყებით, როდესც კონკრეტულ შეკითხვებზე ვითხოვდით კონკრეტულ პასუხებს. როგორი შედეგი ექნება ჩვენს ასეთ დამოკიდებულებას მეგობარი ქვეყნების მიმართ, ახლო მომავალი გვიჩვენებს, გუშინდელმა აქციამ კი დაგვანახა, რომ მთავრობა იყო ვალდებული სწორედ ასეთი ადეკვატური ნაბიჯი გადაედგა და ქვეყნისთვის ომში ჩართვის საფრთხე აერიდებინა. ამ მიდგომამ შექმნა პრეცედენტი, რომელიც კარგა ხანია, მივიწყებული ჰქონდა ჩვენს ქვეყანას, ჯერ კიდევ 2003 წლიდან. „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ - ეს იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი მამოძრავებელი ეროვნული პრინციპი! ჩვენს საბაზისო ფასეულობებს სჭირდება დაცვა. ეს ფასეულობები არ ხურდავდება არაფერზე და არავის მივცემთ უფლებას, ჩვენი ღირებულებები შეურაცხყოს, რაოდენ დიდი ავტორიტეტისა და მასშტაბის მქონე სახელმწიფოც უნდა ცდილობდეს ამას.

**ალი ბაბაევი, საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე:** ეს იყო ხალხის მიერ მოთხოვნილი და დაანონსებული აქცია, სადაც სიმართლის, სამართლიანობის, მშვიდობის და სტაბილურობის მსურველი, ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანები იყვნენ შეკრებილი. აქ იდგნენ ნამდვილი მოქალაქეები, რომლებსაც უყვართ სამშობლო და ქვეყნის ერთგულები არიან. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ხალხის ასეთი რაოდენობა, ასეთი ერთსულოვნება და მუხტი ძალიან იშვიათია, სადმე ნახოთ. ახლა, როცა ისტორიული გადაწყვეტილების წინაშე ვდგავართ და წლის ბოლოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ველოდებით, ამ ფონზეც კი, მიმდინარეობს გამუდმებული ზეწოლა საქართველოს მიმართ, ჩვენი მეგობარი ქვეყნების მხრიდან, - როგორც ევროპის ქვეყნების, ასევე აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლების მხრიდან, რომლებიც უხეშად ერევიან ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში. ზეწოლაა გარედან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მტერი გვყავს შიგნით. აქ, ქვეყანაში გვყავს განუბაჟებელი ტვირთი - ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც კომფორტულად ზის ჩრდილში და თავისი კრიმინალური დაჯგუფების ხელით, ცდილობს ქვეყნის განვითარება შეაფერხოს.

მსოფლიოში ჯერ არც ერთი პატიმარი არ ყოფილა ასეთ კომფორტში, მე მგონი, გინესის რეკორდებში უნდა შევიყვანოთ ეს კაცი, - დამნაშავე, რომელმაც ქვეყანა გაანადგურა, რომელიც ციხეში წამებით ხოცავდა პატიმრებს, ატერორებდა ბიზნესს, ხოცავდა ქუჩაში ადამიანებს, გაასხვისა უამრავი სტარტეგიული ობიექტი... შემდეგ კი ოპოზიციად მოგვევლინა და ყველაფერს აკეთებს თავის დაჯგუფებასთან ერთად, რომ ავნოს ქვეყანას. როგორ უნდა ვთქვა მე, აზერბაიჯანელმა, რომ ის ქართველია, როცა ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენელი მიდის, დაძვრება ჩუმად ევროკავშირის წევრი ქვეყნების კაბინეტებში და ყველა ღონეს ხმარობს, რომ უცხო ქვეყანა თავისი სამშობლოს წინააღმდეგ განაწყოს. მათი ქმედება უკვე გაუსაძლისი გახდა და შეკრების მთავარი მიზეზიც ეს იყო.

შევიკრიბეთ და მივუთითეთ მეგობარ ქვეყნებს, რომ თავი დაანებონ ჩვენს შიდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევას! საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, გვაქვს ჩვენი კონსტიტუცია, პარლამენტი, გვყავს ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას ცივილიზებურად მართავს და იმას აკეთებს, რაც ხალხს სჭირდება. ხალხს სჭირდება,

რომ ჯანმრთელი იყოს, თავისუფალი ბიზნესი ჰქონდეს, მისცენ საშუალება, რომ გაასაღოს თავისი მოყვანილი პროდუქტი, - მაგრამ ქვეყნის შიდა მტრები ყველანაირად ძაბავენ სიტუაციას, უცხოელი „თანამოაზრეების“ დახმარებით, რითაც როგორც ხელისუფლებას, ასევე თითოეულ მოქალაქეს დისკომფორტს უქმნიან. უნდათ, რომ საქართველოში ლიბერალური ფასეულობები შემოიტანონ, მაგრამ საქართველო ისტორიულად ტრადიციული ქვეყანაა, რომელსაც ვერც ერთმა გარეშე მტერმა ვერ დააკარგინა ვერც რელიგია, ვერც ადათ-წესები, ვერც ენა... და ახლა ამათ უნდათ, რომ ეს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით გაანადგურონ.

ათასობით ადამიანი მოვიდა აქციაზე, მაგრამ გაცილებით მეტი, ვინც ვერ მოვიდა, იგივე სულისკვეთებას იზიარებს. ესენი არიან პატრიოტი ადამიანები და, თუ საჭირო გახდება, მათთან ერთად ჩვენ ისევ გავალთ რეგიონებში, სოფლებსა თუ ქალაქებში და ხალხს დავანახებთ რეალობას, რის შემდეგაც ბორტი ძალები მარილივით დაიშლებიან. მათ არა აქვთ უფლება, ქართველი საზოგადოების სახელით იმოქმედონ. მე, როგორც საქართველოს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ვიტყვი, რომ აზერბაიჯანელები, ქართველების შემდეგ, მეორე ერი ვართ, ვინც თავდაუზოგავად ვიცავდით და დავიცავთ თითოეულ გოჯ ქართულ მიწას და არასდროს დავიხევთ უკან, თუკი ჩვენს სამშობლოს, საქართველოს დავჭირდებით. ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ საქართველოს მიწა-წყალზე, ასპინძის ომში, კრწანისის ომში თუ სხვაგან და დღეს ქართველების გვერდით იმ მებრძოლების შვილიშვილები დგანან, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ომი, მშვიდობა გვინდა და ესაა ჩვენი მთავარი გზავნილი.

არ შემეძლო, აქციაზე არ მივსულიყავი. ვალდებული ვიყავი, ვყოფილიყავი ჩემი თანამოქალაქეების გვერდით და გამიხარდა, რომ უამრავი აზერბაიჯანელი ვნახე არამხოლოდ თბილისიდან, არამედ რეგიონებიდანაც ჩამოსული. ჩვენ, აზერბაიჯანელები მშრომელი, საქმიანი ხალხი ვართ და გვინდა, ქვეყანა სტაბილურ მდგომარეობაში განვითარდეს. ამიტომ ბიძგი უნდა მივცეთ, მხარი უნდა დავუჭიროთ მათ, ვისაც იგივე სურვილი აქვთ.

მინდა ხელისუფლებას მოვუწოდო, იმ ერთგულ ადამიანებს მიაქციოს ყურადღება, ვინც ჯერ კიდევ 2007-2012 წლებში იბრძოდა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ და ვისაც „ქართული ოცნების“ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის. „პორტირებულები“ რომ ჰყავთ ყველგან, ყველა სფეროში შეკედლებული, სწორედ ისინი აფერხებენ ქვეყნის მშენებლობის პროცესს. კარგი იქნებოდა, რომ როგორც პრეზიდენტს გამოვუცხადეთ უნდობლობა ხელის აწევით, ასევე, უნდობლობა გამოვუცხადოთ იმ „პორტიებულებს“, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნის განვითარებას!

მოამზადეს
თამარ შველიძემ და
ნონა ქარქაშაძემ



# ზაზა პაპუაშვილი: ჩვენი საზოგადოება ითხოვს მშვიდობას და არა ომს

**საზოგადოებამ უარი უნდა უთხრას დაპირისპირებას, ქვეყნის საქმეებში ჩარევას, დაუსაბუთებელ რეზოლუციებს და სანქციებს.**

**ჩვენ ვაერთიანებთ და არ ვყოფთ საზოგადოებას – ეს გზავნილია შინ თუ გარეთ. მოვდივართ, რათა ყველამ გაიგოს, რომ ვერ ვიხედნებით და ვერავის უნაგირს ვერ ვგუობთ. გვინდა, სუფთა ვიყოთ საკუთარ სინდისთან და უპირობო პატივისცემა გამოვხატოთ ჩვენი ქვეყნის მიმართ. მოგვიწევს ამის შეხსენება, რათა საქართველო მიიღონ და აღიარონ ისეთი, როგორიც ღმერთმა დალოცა და გააჩინა. ნურც ნურავის მოუვა აზრად მისი დაკოდვა, გამოშიგვნა და გადასხვაფერება. ჩვენი ხალხი, ჩვენი საზოგადოება ითხოვს მშვიდობას და არა ომს. მოვდივართ იმიტომ, რომ ვუთხრათ „არა“ ფაშისტურ, ბოლშევიკურ, სადისტურ მისწრაფებებს, ქვეყნის არევას და დაპირისპირებას, ქვეყნის საქმეებში ჩარევას, დაუსაბუთებელ რეზოლუციებს და სანქციებს, დამცირებას და შეურაცხყოფას, მუდმივ რყევას და სიმშვიდის დასამარებას.საზოგადოება გარიყული არ უნდა იყოს და ხალხმა ერთიანობით ყველას უნდა დაანახოს, რომ საკუთარი აზრი აქვს და პროტესტის გამოთქმა შეუძლია.**

**არ შეიძლება, საზოგადოება გარიყული იყოს რაღაც თემებიდან და ის ანგარიშგაწეული არ იყოს. არ შეიძლება, გათიშულები და გაყუჩებულები ვიყოთ, როდესაც ძალიან ბევრი განსაცდელია ჩვენ წინაშე. ეს იყო ჩანაფიქრი, ამ ერთიანობით დავანახოთ, რომ ერი ვართ, ქვეყანა ვართ, ჩვენ პოზიცია გვაქვს, ჩვენი აზრი გვაქვს და შეგვიძლია, რაღაც თემებზე პროტესტიც გამოვთქვათ. წარმოუდგენელია, რომ ყველა ლაპარაკობს ჩვენი სახელით და ჩვენი სახელით ანგრევენ ამ ქვეყანას. სხვა ქვეყნის დიპლომატები თუ პოლიტიკოსები, ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობენ. სად არის, ძმაო, ქართველი ხალხი? ჩვენ ვართ და ჩვენ ვილაპარაკოთ. ჩვენს საწუხარს ჩვენ მოვუაროთ, რანაირად უნდა დამიგეგმო ამდენი უბედურება ჩემი ნების საწინააღმდეგოდ? ეს ცოტა მოტივაციაა, რის გამოც შეგვიძლია გამოვიდეთ და ვილაპარაკოთ? რასაკვირველია, ბევრ ფუნდამენტურ საკითხს აქ ვერ გადავწყვეტთ, მაგრამ გაკეთდება ისეთი აქცენტები, რამაც უნდა განაპირობოს ხვალინდელი დღე. ცვლილება უნდა გამოვიწვიოთ ქვეყანაში.**

**ხელისუფლებისგან ვითხოვთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დიქტატორულ რეჟიმს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცეს და შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმებით აღსრულდეს. ამასთან, აქციის საორგანიზაციო ჯგუფის მოთხოვნაა, ხელისუფლებამ ეკონომიკური პოლიტიკის გატარება უზრუნველყოს, დაინერგოს სკოლებში ფუნდამენტური განათლება და შეწყდეს ახალგაზრდების იდეოლოგიური დამუშავება:**

**მოვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისგან 2004-2012 წლებში „ნაციონალური მოძრაობის“ დიქტატორულ რეჟიმს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცეს და შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმებით აღსრულდეს; ხელისუფლებამ სუვერენული, ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე უნდა იზრუნოს, რაც უმუშევრობას, დაბალ ხელფასებს და სიღარიბეს აღმოფხვრის; ასევე მოვითხოვთ ევროკავშირის და სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებისგან საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემას; კატეგორიულად მოვითხოვთ შიდა საზოგადოებრივ პოლიტიკურ საქმეებში სრულ ჩაურევლობას. მხარეთა შორის ურთიერთობები პატივისცემას და პარტნიორობას უნდა ეფუძნებოდეს; დაინერგოს სკოლებში ფუნდამენტური განათლება; შეწყდეს ახალგაზრდების იდეოლოგიური დამუშავება სასწავლო დაწესებულებებში; დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად ქმედითი სახელმწიფო პროგრამა უნდა განხორციელდეს; დაიწეროს, დაიხვეწოს ნარკოტიკებთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხები; ლგბტ პროპაგანდა კანონით აიკრძალოს და მოწესრიგდეს სამართლებრივი ბაზა.**



**ხელისუფლებისგან ვითხოვთ, კანონი ყველას მიმართ თანაბრად აღასრულოს, მიუხედავად პოლიტიკური, სექსუალური თუ სხვა ორიენტაციისა. კანონის წინაშე არავის პრივილეგიებს არ ვცნობთ. ჩვენი გადაწყვეტილებაა, რომ პოლარიზაციისა და პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში, ქართველ ხალხს პლებისციტის გზით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა მიეცეს, რათა რევოლუციები და დესტაბილიზაცია, თავს მოხვეული მაედნები და სხვა ქვეყნის ომში ჩართვა ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ, დაანონსებული არეულობა, ხელისუფლების ძალადობრივი ცვლა, ერთმანეთთან დაპირისპირება არ მოხდეს და ყველაფერი ეს თავიდან ავიცილოთ. ჩვენ გვაქვს არჩევნები და თუ რამე არ მოგვწონს, არჩევნების გზით უნდა გადაწყდეს“.**

# გამოკვლევებულების კვლევების კვლევა

როგორც ქალბატონი ელენე თევდორაძე იტყოდა, სახეზე გვაქვს გამოკვლევებულების გამოკვლეული კვლევა, შესაბამისად, ქალბატონ ელენეს „მარგალიტებიც" გავიხსენოთ და ისე გავარკვიოთ, „აი რაი," რა არის.

„სამართლიანი არჩევნების" დირექტორს, ნინო დოლიძეს ნათქვამი აქვს, რომ თვადახუჭული და ხელებაწეული ენდობა IRI -ის კვლევის იმ შედეგებს, რაც ხელში უჭირავს და როცა უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა, შესაძლოა, ზუსტი არ იყოს, ის საზოგადოებრივ განწყობებს გამოხატავს. ქალბატონმა დოლიძემ მაგრად მოუჭიროს ხელი გამოკვლევებულების კვლევას და როგორც ქალბატონი ელენე იტყოდა: „ჩვენ ის გვეკამათოს, ვისაც ჩვენზე დიდი არგუმენტი უჭირავს ხელში, ანუ, ვისაც ხელში რა უჭირავს..." და კიდევ, ვინც ამ გამოკვლევებულის კვლევის გამზიარებელია, „ტყემალში ზის!" აი, რატომ: საზოგადოებრივი განწყობების განსაზღვრისთვის უნდა არსებობდეს ამ განწყობების სანდო კვლევა. ქალბატონი დოლიძე თავადვე ამბობს, რომ კვლევები, „შესაძლოა, ზუსტი არ იყოს", მაშასადამე, უპირველესად , თვითონვე შეაქვს ეჭვი მის სანდოობაში და რანაირადღა გამოხატავს საზოგადოებრივ განწყობებს დაზუსტებით? აჰა, ხომ „ზის ტყემალში"?

„ტყემალში ჯდომა" კიდევ არაფერია. პარლამენტის ბიუროს ოთახში დეპუტატები ორ გრძელ მაგიდასთან ისხდნენ. ერთ-ერთ მაგიდასთან ქალბატონი ელენე იჯდა და წერდა, მისი კოლეგები კი რაღაცაზე საუბრობდნენ. როგორც ჩანს, ზედმეტად აქტიურად იქნევდნენ ხელებს და მაგიდა ყანყალებდა. ქალბატონი ელენე შეაწუხა ამან და აღშფოთებულმა იკითხა: ოიჰ, ვინ ანძრევს მანდა?! ჰოდა, ქალბატონი ელენესი არ იყოს, ძალიან შევწუხდით ამ გამოკვლევებულების კვლევების კვლევით და „ოიჰ, ვინ ანძრევს მანდა", რომ პირადი და საკუთარი საახლობლოს განწყობების საზოგადოებრივ განწყობებად შემოსაღება უნდა?

**IRI** არის თუ რა ბაბასილიცაა, დიდი ხნის უკან გავიცანით და, ცხონებული ბებიაჩემისა არ იყოს, რა აფირისტიც არის, ვიცით, რასაც თან ერთვის ის, რომ კვლევების მწარმოებელი კომპანია „აიფიემი" ძალიან საეჭვო რეპუტაციისაა და პირდაპირ არის დაკავშირებული „ნაციონალურ მოძრაობასთან." ასე მატრაბაზობენ ყოველთვის და ამიტომაც რჩებიან ოპოზიციის გულანთებული ამომრჩევლები მუდმივად და ამაოდ ხვანჯარშეხსნილები. ქალბატონი ელენესი არ იყოს: „როცა პიდაგოგი ვიყავი, ასეთ მოცაფებს სულ კარგებს ვუწერავდი". რა თქმა უნდა, ქალბატონო ელენე, ასეთ მოწაფეებს სულ კარგები უნდა დაუწერო...

ეს ჩვენის „ნაციონალები" რომ პირდებიან თავიანთ გამომიშებულებს, საქვეყნო საქმეს გავაკეთებთო, ქალბატონი ელენესი არ იყოს: „მინდა ხაზი გავუსვა, რომ საჭიროა არა მხოლოდ დაპირობა, არამედ ხალხის რეალური მისაქმება, თორემ სულ ჰპირდებით და სულ მოტყუვნულები რჩებიან".

გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ ქალბატონი ელენესი არ იყოს: „ზოგი რომ ფრაქციებს იცვლის, როგორც ჩიტი გადამფრინველი, ანდაც, როგორც ბიკინის კომპლექტი „ნედელია", ეს, ცოტა არ იყოს, არაეთიკურია". შედეგად ვფიქრობ და „გთხოვთ, ჩემი მოსაზრება შეიტენოთ... ახ, და — შეიტანოთ დღის წესრიგში!"

რა საინტერესოა, ამ ჩვენის „აირაიმ" სოციოლოგიური გამოკითხვა ჭიჭე-ვაშაძის ოფისში ჩაატარა? ისე ზემოდან დაჰყურებს 33%-იანი „ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილი ფრინველი" („ნათლია" — რეზო ამაშუკელი) 35%-იან „ეკოდამნაშავეს" — ბიძინა ივანიშვილს („ნათლია" — ტვ-პირველი) რომ სხვა აზრი არ დაგებადება.

კაცმა რომ თქვას, რატომ კონკრეტულად „ჯუნიორ-ვაშაძის" ოფისში?

ისეთები გამოლალა „აირაიაფირისტმა" 35%-იან ბიძინა ივანიშვილამდე, თვითონვე რცხვენიათ, მაგრამ არ იმჩნევენ, ფართოდ აქვთ დახუჭული სინდის-ნამუსის თვალი და ყასიდადღა ლაღობენ, აი, რა სასურველები ვართო.

პატრიარქსა და კალაძეს ვერაფერი მოუხერხეს, მაგრამ კუდში მიადევნეს კელის თოჯინა — სალომე 48%-ით, ხოლო პრემიერი ღარიბაშვილი მაჩანჩალასავით დაადევნეს „მავნებელ თოჯინას" 43%-ით.

საინტერესოა, ამ კელის კუდ (პ)რეზიდენტს მართლა სჯერა, რომ საქართველოში ვინმესთვის მაინც წარმოადგენს ავტორიტეტს, თუნდაც იმავე კელისთვის?




ბატონ პრემიერს რომ გახარია-თვალთხარია (გნებავთ, იგივე „ბოდიშა", გინა „თვალპაჭუნა") დაადევნეს, არ ამხელს, თორემ „სევდის ბაღს არის შესული შენაღონები", ესენი რითი მჯობიან, რას მიმასვეს ამ ქაქისროლია სიმულიანტთანო.

არ გამკვირვებია, გახარია და მიშა რომ ერთნაირ პროცენტზე დასვეს, ვაშლი ვაშლის ხესთან გდია, მაგრამ ორივე ერთად 36-36%-ით 35-35%-იან ბატონ ბიძინა ივანიშვილსა და შალვა ფანჩატუროვიჩს რომ უსწრებენ — ეს მთლად საოხუნჯოა. „ფანჩატუროვიჩი", ალბათ, ცხვრის დაკვლას ფიქრობდა პირველი ემოციით, მთელ დუშეთს ვაზეიმებ, რომ საზოგადოებრივი აზრით ბიძინა ივანიშვილის დონე ვარო, მაგრამ გადაურა ემოციამ და წუწურაქს ჯერ გულს შემოეყარა, ხარჯი რატომ უნდა გავწიოო, მერე კი გამოერკვა საკუთარ თავთან, ხომ ვიცი, რა მათხოვარი ვაჭრუკანაც ვარ პოლიტიკურ ველზე, ნეტავ, რა მრჯისო და გადაიფიქრა.

სავარაუდოდ, ჯუნიორ და ლ**я**კა რუბლიოვების საახლობლო ხარობს და ქალბატონი ელენეს პირით უთვლიან „დამპროცენტებლებს": „დიდი მადლობა, ბატონებო, რომ მხარი დაუჭირეთ ამ ჩემისებსო!"

ზოგადად, საოხუნჯო კვლევა იყო, რადგან ისე გამოუვიდათ, „ბევრი ვეცადე ჩემთვინა, გამომივიდა შენთვინაო". დამაგვირგვინებელი იყო: მომდევნო შაბათს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმასო და 19% „ქართულ ოცნებას" ერგო, 14% — „ნაცმოძრაობას". რომელ „ნაცმოძრაობას", ნეტავ, „დაშლილებში" რომ ყრენან და ჯართადაც აღარავინ იბარებს? თავისთვის ხარობენ, „ოცნებამ" ამომრჩევლის 80% დაკარგაო...

დავით კალანდიამ ზუსტად განმარტა ამ გამოკვლევის გამოკვლევებულობის არსი:

**IRI**-ს მიერ გამოკითხულთა ... 26-26%-ს მოსწონს ბადრი ჯაფარიძე და ზურაბ გირჩი ჯაფარიძე (თუმცა ერთმანეთში ერევათ, რომელი ჯაფარიძე რომელია);

19%-ს — პეტრე ცისკარიშვილი, 17%-ს — გიგა ბოკერია, 9%-ს — პაატა მანჯგალაძე... 8%-ს — ენვერ შუშაბანდოვი, 7%-ს — ეთერ საძაგლიანი, 6%-ს — თომას ანდერსი, 5%-5%-ს — ინდიელი ჯო და მეფ პოტერი, 4%-ს — ბიქტორ ფრანკენშტეინი, 3%-ს — ბიქტორ ფრანკენშტეინის მონსტრი, 2%-ს — ბიქტორ ფრანკენშტეინის მონსტრის ცოლი, და 1%-ს კი — ჯიპერს კრიპერსი.

**IRI**-ის კვლევა ჩატარდა **IRI**-ის სათავო ოფისში და გამოიკითხა **IRI**-ს ყველა თანამშრომელი.

ზოგიერთი თანამშრომელი — ორჯერ.

თუ რატომ ჩატარდა გამოკითხვა მხოლოდ თანამშრომლებში, **IRI**-ს უფროსმა თქვა, რომ ფონდები შეუმცირეს და საველე სამუშაოების ჩატარება უკვე აღარ ეხერხებათ ფინანსების არქონის გამო.

ამიტომაც გადაწყვიტეს გამოკითხვების ჩატარება ლოკალურად.




ახლა **IRI** ცდილობს გარკვევას, თუ როგორ მოხვდა სიაში პაატა მანჯგალაძე და საერთოდ, ვინაა პაატა მანჯგალაძე?

### რა კუთხით აწარმოებენ კვლევებს

ბიჰევიორისტულ (ქცევებთან დაკავშირებული) ფსიქოლოგიურ მიმდინარეობაზე დაყრდნობით, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან აშშ-ში მნიშვნელოვნად გაფართოვდა პოლიტიკური ფსიქოლოგიის თეორიული კვლევები. 1970 წელს შეიქმნა ფსიქიატრიისა და საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტი, ხოლო 1978 წელს მის ბაზაზე შეიქმნა საერთაშორისო სტატუსის მქონე პოლიტიკური ფსიქოლოგიის საზოგადოება (**ISPP**). ამჟამად **ISPP**-ის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სპეციალისტების მომზადება ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა: პოლიტიკური ქცევის ფსიქოლოგია; ძალაუფლების ფსიქოლოგიური საფუძვლები; მშვიდობისა და შერიგების ფსიქოლოგია; პოლიტიკური ძალადობა და ტერორი; ომის ფსიქოლოგია; ავტორიტარიზმის პოლიტიკური ფსიქოლოგია და სხვ. საკმაოდ ხშირად პოლიტიკური მოღვაწეები თვითონ ეუფლებიან ფსიქოლოგიურ მეთოდებს, რაც მათ ეხმარება მიმდინარე და სტრატეგიული პოლიტიკური პრობლემების გადაჭრაში.

პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ანალიზის თანამედროვე მეთოდებში სულ უფრო ხშირად გამოიყენება ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები. მაგალითად, ელექტორატის განწყობის შესწავლის დროს, პირდაპირმა შეკითხვამ, შეიძლება, ზუსტად ვერ დაადგინოს, ნამდვილად რა ხდება ადამიანის ფსიქიკაში. ამიტომ, აშშ-ის ერთ-ერთმა ფირმამ შეიმუშავა სპეციალური ინტერნეტ-გამოკითხვის მეთოდი. შეკითხვის დროს „რომელ კანდიდატს აძლევთ ხმას" შედეგების მარტივად დათვლის ნაცვლად, ანალიზდება, რა სისწრაფით შეჰყავს რესპონდენტს პასუხი თავის კომპიუტერში. იგულისხმება, რომ, რაც უფრო ხანმოკლეა რეაქცია, მით უფრო მტკიცედაა მიღებული გადაწყვეტილება, ასევე აშკარავდება მერყევთა რაოდენობა.

არ მინდა, კონკრეტულ პირებს შევეხო, ამიტომ ზოგადად ვთქვათ, პიროვნების პოლიტიკური ფსიქოლოგიის კვლევა რის საფუძველზე ხდება — უმთავრესი სწორედ პიროვნების პოლიტიკური ფსიქოლოგიის კვლევაა. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება ანკეტირება და ინტერვიუ. გავრცელებულია ემოციურობის შემსწავლელი ტესტები, პოლიტიკური სიმბოლოების, სახვითი და აუდიო- პროპაგანდისტული მასალის ანალიზი, სხვადასხვა სოციალური შრის აზროვნების რიგიდობის (ხისტია თუ მოქნილი), მსჯელობის ლოგიკური შეფასებები. თანამედროვე მეთოდებით ჩატარებული ასეთი კვლევები ხშირად საკმაოდ ადეკვატურ პასუხს იძლევა პიროვნების პოლიტიკური მიდრეკილებისა და განწყობის შესახებ. ექსპერტები იკვლევენ პოლიტიკური ლიდერების საჯარო გამოსვლებს (უმჯობესია, სპონტანური, ვიდრე „სპიჩრაიტერების" მიერ წინასწარ მომზადებული ტექსტები), შეისწავლიან მათი ჯანმრთელობის პრობლემებს და ბოლო წლებში უკვე პიროვნულ გენეტიკურ ანალიზსაც ატარებენ.

### რას გვაკვირდება აშშ ამისთანა უსაშველოს

რა „მასალა" ხვდება პოლიტიკური ფსიქოლოგიის კვლევების ინტერესებში და რა იგულისხმება ამ „კვლევებში?" მცირე ჯგუფების პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური კვლევა გულისხმობს სოციომეტრიული ცხრილებისა და სოციოგრამების შედგენას, სადაც, მაგალითად, დგინდება ჯგუფური ერთსულოვნების, ექსპანსიურობისა და ინტეგრირების ინდექსები.

მსხვილი ჯგუფების პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური კვლევა იყენებს დაკვირვების მეთოდს. ბოლო წლებში დაკვირვების უფრო ოპტიმალური მიდგომები ხდება პოპულარული, მაგალითად, ე.წ. „ფოკუს-ჯგუფების" მეთოდი, სადაც გამოკვლევაზე მიწვეულია და საკითხებს განიხილავს საზოგადოების რამდენიმე „ტიპური წარმომადგენელი". აღსანიშნავია ანალიზის ახალი პო-

ლიტიკურ-ფსიქოლოგიური საშუალების გამოყენება, რომელმაც ჩვეულებრივ სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით მრავალი ორიგინალური ფსიქოლოგიური მოვლენა დააფიქსირა.

ხალხთა მასების პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური კვლევა იყენებს ანკეტირებისა და სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდებს. გავრცელებულია ექსპერიმენტი, ან „თამაშის მოდელირება“ („იმიტაციური თამაშები“), როცა კონფლიქტების ან მოლაპარაკებების იმიტიორების მეშვეობით მკვლევარს შეუძლია გამოააშკარაოს ფსიქოლოგიური მექანიზმები და შეიმუშავოს რეალური პროცესის განვითარების ვარიანტები.

პოლიტიკაში ფსიქოლოგიური ჩარევის კომპლექსური ხასიათი ვლინდება ისეთ სფეროში, როგორიცაა მოლაპარაკებები, პარტნიორთან ერთობლივი საქმიანობა, რომელიც მიმართულია მომავალი თანამშრომლობის დადგენის, ან კონფლიქტის მოგვარებაზე. ეს ორნაირად ხორციელდება — ე.წ „ვაჭრობის“ მეშვეობით, ან პრობლემის ერთად გაანალიზების შედეგად.

პოლიტიკაში ფსიქოლოგიური ჩარევის კიდევ ერთი სფეროა კოალიციების (გაერთიანების ან ალიანსების) შექმნა. ფსიქოლოგიური არსის გაცნობიერების გარეშე ისინი არამდგრადია და სწრაფად იშლებიან. კოალიციის შექმნის ფსიქოლოგიური ფაქტორებია საკუთარი რესურსების დეფიციტი და მიზნების მისაღწევად სხვისი რესურსებით სარგებლობის სურვილი, საერთო მტრის, საერთო საშიშროების არსებობა, უნარი, თვალი დახუჭო კოალიციის წევრებთან უთანხმოებისა და წინააღმდეგობების არსებობაზე. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეფექტური კოალიციის შექმნა ურთულესი საქმეა, რაც პოლიტიკური ლიდერისგან განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ უნარებს მოითხოვს.

პოლიტიკურ ქმედებებს ფსიქოლოგიური „ილეთებიც“ ახლავს და, უპირველესად, ეს არის პოლიტიკური ინტრიგა. შიდა დინამიზმის მიხედვით არსებობს მოკლე და გრძელვადიანი ინტრიგები, მიზნის მიხედვით — პერსონალური და სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებისა. პოლიტიკური ინტრიგის მოშორების ერთადერთი საშუალება საზოგადოების მართვის გამჭვირვალობა, საჯაროობა და მაქსიმალური დემოკრატიზაციაა.

კიდევ ერთი „ილეთია“ პოლიტიკური მიმიკრია — მიმბაძველობა. პოლიტიკური მიმიკრიის გავრცელებული ხერხებია: დემონსტრაციული პოპულიზმი, პროპაგანდისტული რიტორიკა, ისეთი პოლიტიკური ჟესტები, რომლებიც ელექტორატის გადმობირებას ემსახურება და პოლიტიკური დაპირებები, რომლებიც გაზვიადებული და არარეალურია.

პოლიტიკური ფსიქოლოგია დიდ ყურადღებას აქცევს ბლეფის (ბანქოს თამაშის დროს ცდომილებაში ხელოვნურად შეყვანა) გამოყენების და მისი გამოაშკარავების მეთოდების ცოდნას. „მტკნარი სიცრუის“ ნაცვლად უფრო ეფექტურია ტყუილნარევი სიმართლე (ან სიმართლენარევი ტყუილი). ეს ისეთი „ლოგიკური ვირუსია“, რომელიც შეიძლებელს ხდის ტყუილისა და სიმართლის განცალკავებას, ხლართავს და ბინდავს მსჯელობის ლოგიკურ თანმიმდევრობას. პოლიტიკური ბლეფის უდიდესი ოსტატები მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არიან — ეს ეხება, უპირველესად, ანგაჟირებულ საინფორმაციო საშუალებებს.

მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენაზე, პარტიასა თუ პოლიტიკოსზე შერჩევითი ემოციური განწყობის გავრცელება. მაგალითად, პრესით ან ტელევიზიით ვრცელდება ნეგატიური ინფორმაცია, მაგრამ უშუალოდ ტექსტში ვერცერთი სასამართლო ვერ აღმოაჩენს სარჩელის კონკრეტულ საფუძველს. ანდა, ვთქვათ, ვრცელდება ჭორი — „ამბობენ, რომ...“ დეზინფორმაციის ან მიზნობრივად მოქმედი ფსიქოლოგიური ზეწოლის მეთოდია „სარწმუნო წყაროდან გაჟონილი ინფორმაცია, რომლის ავტორმა ითხოვა, არ დაესახელებინათ.“

ბლეფის მდიდარი არსენალი გამოიყენება შენიღბული პოლიტიკური რეკლამის (ან ანტირეკლამის) დროს. ამ შემთხვევაში ხშირია ე.წ. „გაუფრთხილებლობით დაცდენილი სიტყვა“; „შემთხვევითი გამვლელის აზრი“; ორგანიზებული სკანდალი, რომელიც გადაიცემა ინფორმაციის სახით; საგანგებოდ შერჩეული (ან სულაც, შეთხზული) მკითხველთა წერილების ანალიზი და მრავალი სხვა. ბლეფის ყველაზე „მიმზიდველი“ ფორმაა „კონტექსტიდან ამოგლეჯა“ — ნებისმიერი ტექსტის ციტირება შეიძლება ისეთნაირად, რომ თავდაყირა დააყენოს მასში გატარებული აზრი. ასევე, ხშირია დაკვეთილი სოციოლოგიური გამოკვლევების განხილვა, სადაც მკვლევარების აფიშირება ხდება, როგორც სახელოვანი სპეციალისტებისა, სინამდვილეში კი ისინი მხოლოდ ფალსიფიცირების სპეციალისტები არიან.

მრავალი პოლიტიკოსი თვითონ მიმართავს ბლეფს — ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტის განზრახ განუხილველად დატოვება; ფალსიფიცირება — ნამდვილი ფაქტების ჩანაცვლება დამახინჯებული ფაქტებით; დეზორიენტირება — მსჯელობის მიმართულების განგებ გადართვა მეორეხარისხოვან საკითხებზე; მსჯელობის არასასურველი საგნისგან დამშორებელი, ვითომ საჭირო, მაგრამ, სინამდვილეში, უადგილო ლაყბობა; საკუთარი მიზნების შენიღბვა, ან სიმართლის ნაწილის გამოჩენა; მსჯელობის ლოგიკის გადაჭარბება, ფორმალიზება; სიტყვაზე გამოკიდება.

ძლიერ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკოსის მიერ სიტუაციის განგებ დრამატიზება, როცა შექმნილი ემოციური დისკომფორტის პირობებში გაცილებით სუსტდება მსმენელის მიერ სიტუაციის რაციონალური შეფასების უნარი.

ეფექტურად მოქმედებს ბლეფის კიდევ ერთი ნაირსახეობა — პოლიტიკური დემაგოგია — ცრუ პათოსი, მჭევრმეტყველება, მსჯელობის სამიზნე უფრო ქვეცნობიერზეა გადატანილი, ვიდრე ცნობიებიერზე. დემაგოგი ეგზალტირებული და ძნელად დასაშოშმინებელია. ის აფორიაქებულია, ვინაიდან ყველაზე მეტად საკუთარი თავი აწუხებს. ფსიქოლოგი ამჩნევს და ყველა დაკვირვებულ ადამიანსაც შეუძლია დაინახოს, რომ სიტყვით გამოსვლის დროს დემაგოგის პირადი ფსიქოლოგიური პრობლემები უფრო იკვეთება, ვიდრე ქვეყნის პოლიტიკური პრობლემები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ფსიქოლოგიური ომი, „შავ PR”-ს რომ უწოდებენ.

როგორც ჰებელსი ამბობდა: „პროპაგანდისტული ტყუილი უნდა იყოს მასირებული, ფართომასშტაბიანი, უსირცხვილო და გამუდმებული...“

**მაკა ჯაყელი**




# ფოტოგრაფების საქმის კვალდაკვალ

2011 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ ჯაშუშობის ბრალდებით უდანაშაულო ფოტორეპორტიორები გიორგი აბდალაძე, ზურაბ ქურციკიძე, ირაკლი და ნათია გედენიძეები დააკავა.

ამ წითელი ხაზის გადაკვეთა, სხვა უამრავ დანაშაულთან ერთად, ნაციონალურ ძალას ქართველმა ხალხმა აღარ აპატია და არჩევნების გზით ქვეყნის მმართველობასაც ჩამოაცილა.

ხელისუფლების ცვლილებისთანავე, როგორც წარსულის სამართალმემკვიდრე, მორალურად ყველაზე რთულ მდგომარეობაში მაინც პროკურატურა და სასამართლო სისტემა აღმოჩნდა. კანონზომიერება მოითხოვდა მათი შელახული რეპუტაციის თანდათანობით აღდგენას, ამიტომაც მთავრობის გადაწყვეტილებით, გენერალურ პროკურატურაში ცალკე საგამოძიებო სტრუქტურა შეიქმნა, რომელსაც ნაციონალური რეჟიმის დროს მიღებული უკანონო განაჩენების გადასინჯვა დაევალა.

სამართლიანობის აღდგენა დიდ დროსა და მოთმინებას მოითხოვს. ასეა მთელ მსოფლიოში, მათ შორის, სტრასბურგის სასამართლოშიც, სადაც, საქმეთა სიმრავლიდან გამომდინარე, ვერდიქტის გამოცხადებამდე დიდი მოთმინებით უნდა აღიჭურვო.

თუ მოქალაქეს მიაჩნია, რომ იგი წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ იქნა მსჯავრდებული და აქვს შესაბამისი მტკიცებულებები, მისი განცხადებით მიმართვის საფუძველზე აღნიშნული ორგანო (რომელსაც გენერალურ პროკურატურაში ირაკლი ნადარეიშვილი ხელმძღვანელობს) იწყებს ხელახალ გამოძიებას, ამზადებს დასკვნას და თავად მიმართავს სააპელაციო სასამართლოს ძველი უსამართლო განაჩენის გადასასინჯად. ამასთან, თავადვე (კომისია) ამტკიცებს სასამართლოში, რამდენად სწორი იყო ადრე მიღებული განაჩენი. თავის მხრივ, კანონის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო დარწმუნდება, რომ საქმეში არსებობს იმის ყველა შეთანხმებული მტკიცებულება, რომ ძველი განაჩენი არასწორ ფაქტებსა და არგუმენტებზე იყო აგებული, ის უფლებამოსილია, გააუქმოს ძველი ვერდიქტი და ახალი გადაწყვეტილებით გაამართლოს უდანაშაულო მოქალაქე. სწორედ ეს სამართლებრივი გზა განვლეს ფოტოგრაფებმა, რომელთაც ადვოკატირებას სასამართლოში ისევ პროკურატურა უწევდა.

საზოგადოებამ არ უნდა იფიქროს, რომ პროკურატურა ყველაფერს ჩვენს მაგივრად გააკეთებს. ფაქტების მიწოდება და უწყებასთან თანამშრომლობა დაინტერესებული მოქალაქეების მოვალეობაა.

ნაციონალური ხელისუფლების მიერ ფოტოგრაფების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის გარდა, მათ არასამართლიანი მოპყრობის შედეგად უდიდესი მატერიალური და მორალური ზიანიც განიცადეს. სწორედ ამიტომ გამამართლებელი ვერდიქტის შემდეგ, სასამართლოში დღევანდელი პროკურატურისაგან, როგორც ძველი სამართლმემკვიდრისგან, მათ ფულადი კომპენსაცია მოითხოვეს. ფოტოგრაფების მოთხოვნის სამართლიანობას, ასევე, ადასტურებს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტება: **„საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს“.**

ცნობისათვის, თუ მოქალაქე პროკურატურის ან სხვა ძალოვანი უწყების მიერ უკანონო მოპყრობის მსხვერპლი გახდა და ეს ოფიციალურად სასამართლოს მიერ გასაჩივრებით დადასტურდება (არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები ძალოვნების შიშით სასამართლოში წინასწარი ღონისძიების დროს მოსამართლეს მსგავს ფაქტებს უმალავენ, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე წინმსწრებად ეკითხება დაკავებულს, ხომ არ ჰქონია ადგილი ძალოვნების მხრიდან მის მიმართ არასათანადო მოპყრობას. ამ შემთხვევაში მას უფლება აქვს, მიმართოს პროკურატურას და სასამართლოს საჩივრით), დაზარალებულს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიას და მიყენებული მორალური თუ მატერიალური ზიანისათვის შესაბამისი ფულადი კომპენსაცია მოითხოვოს, როგორც ეს ფოტოგრაფების საქმის შემთხვევაში მოხდა.

ასეთ დავებში, სასამართლო ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ერთ-ერთ დაინტერესებული მხარედ რთავს ფინანსთა სამინისტროს, როგორც საბიუჯეტო ორგანოს, რომლის მეშვეობითაც მომავალში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსრულდება.

ფოტოგრაფების საქმის გადასინჯვა დასრულდა, წარდგენილ ბრალდებაში ისინი სრულად გამართლდნენ.

საბოლოო სასამართლოს ვერდიქტი, პრეცენდენტულთან ერთად, განსაკუთრებით ყურადსაღებია დღევანდელი სამართალდამცავებისათვის.

სამწუხაროდ, წინამორბედი ძალოვნების მიერ ჩადენილ უკანონობაზე პასუხის გაცემა დღევანდელ პროკურატურას და მთლიანად სახელმწიფოს მოუწია, რომელსაც წარსულ უკანონობასთან არაფერი აკავშირებდა. ასეთია პასუხისმგებლიანი ხელისუფლების პოლიტიკა.

**ლევან ჭილლაძე**

# ერვანდას „ტონტორიკა“



ერვანდა და ზურა
მხატვარი იაგო ნიკოლაძე

დილით ვაზზე ვიყავი გასული, ვსხლავდი. ამ დროს ერვანდა დამადგა.

— ზურაჯან, სად ამძვრალხარ ციყვივით, არ ჩამოვარდე, ტოო! ჩამო, ნახე, რა მაქვს?!

გადმოვხედე და დავინახე — დიდი, შავი გაბერილი პოლიეთილენის პარკი ეკავა ხელში.

— რა იყო, ბიჯო, ჩემთან გადმოდიხარ საცხოვრებლად?

— ხაშია პაჩტი ერთი ვედრა და „ახტამარი“, — ისეთ ხმაზე ამომძახა, თითქოს გაღმა მთაზე ვიყავი.

— მაცადე, მოვრჩე... ხაშზე „ახტამარი“ ცოდოა, ჭაჭა ჩავცხოთ, — ავაჩქარე გასხვლა.

— მეტი საქმე არა მაქვს, შენი ტელეგრეიკის ჭაჭით ჭაჭებში ქვები გავიჩინო! ჩამო, რა, ორი ბოთლა მაქვს!.. ზურაჯან, მინამ მანდ ბუდეს იკეთებ, ძმურად მითხარი, „ქოლ-ცენტრი“ რა არის?

— თქვენი სიკვდილი! ცეცხლი ჭამეთ და ნავთი დალიეთ, თქვე გველებო! — მოულოდნელად ფანჯრიდან გამოგვენთო ნანული. იმხელა იყვირა, მე კინაღამ კიბიდან გადმოვეშვი, პახმელიაზე მყოფი ერვანდა კი ჰაერში შეხტა.

— უხ, შენი!.. რა უნდა ამ პრიპატკიანს, ტოო? — გადაირია ერვანდა.

— აცადე, გლოვა აქვს მაგის სექტას... ჩამოვალ, მოგიყვები...

— გლოვა თქვენ გექნებათ მალე, თქვე პუტინის მონებო, ლოთო მონებო! — დასაბმელი გახდა ნანული „ქოლ-ცენტრის“ გაგონებაზე.

— ნანულჯან, ცავატანემ, პუტინის მონა — ხარაშო, მაგრამ მთვრალი მონა სადა ნახე?

— შეეშვი, ძველ რომში ნახა, — დავიწყე კიბეზე ჩამოსვლა.

— იქ რა უნდოდა, საწყალ იტალიელ დედუშკებს ხოცავდა თავისი მურტალი ენით? — გამხიარულდა ერვანდა.

— მანდ არ გამომიყვანოთ, თქვე ვირთხებო, თორემ დაგხოცავთ! — გაჰყვიროდა განრისხებული ნანული.

— ტო, რა უნდა ამ ჩერდაკის კატას? — აზრად არ მოსდიოდა ერვანდას, რამ გადარია ნანული.

შევილალენით ჩემთან და ნანულის გულის გასახეთქად, კარგად რომ დავენახეთ, აივანზე გავიტანეთ ტაბლა. თან სუფრას ვიშლიდით, თან ერთმანეთში ჩუმად ვლაპარაკობდით:

— ხმამაღლა ილაპარაკეთ, თქვე დასაწყვეტებო, არ მესმის! — გვიყვირა ნანულიმ.

— ზურაჯან, მოდი ეს სუფრაც ისე დავდგათ, რო ვერც ის დანახოს, რასა ვჭამთ. სულ გაგიჟდება, შემოვარდება და ჩავაცეცხლოთ, თან გავაგიჟოთ, — გამხიარულებულ ერვანდას მავნებლური ფანტაზიები მოეძალა.

გავაწყვეთ სუფრა, დავიდგით ხაში და კარგახანს ჩუმად ვიყავით. ცოტა რომ გაიხსნა სისხლძარღვები, მაშინღა გამოვიხედეთ თვალებში და ღმერთს მადლობა შევწირეთ, რომ ამ დილასაც არ დაავიწყდა ჩვენი გაღვიძება.

— ვაბშეტა, ზურაჯან, ისე უნდა იცხოვრო, დილით რომ დგებოდე, ეშმაკი, აი, ნანულა, პირჯვარს იწერდეს, ვაიმე, ღმერთო, მიშველე, გაიღვიძაო... ზურაჯან, შეიძლება, დღეს ვაბშემც არ დამელია, მაგრამ დილას ცაგარელმა თქვა ტელევიზორში, ვინც რომ ამ ზოდიაქოსია, მე რო ვარ, ალკოჰოლის დალევა მოუწევს და ღვიძლს გაუფრთხილდეს, რაღაცის ალბათობაა მოსალოდნელიო.

ტო, ვარსკვლავებს ეგრე გადაუწყვეტიათ, რო უნდა დავლიო და მე ვინ ჩემი ფეხები ვარ, ღმერთის წინააღმდეგ წავიდე, ხო გამიბრაზდება, ეე!

— გაგიბრაზდება! ჩემზე ეგრე არ უთქვამს, მაგრამ მეგობრებთან ურთიერთობას გაუფრთხილდიო და აი, ვუფრთხილდები. ერვანდ, იცი, რომ ნანული ზოდიაქოთი სკარპიონია?

— ეგ ფინთი? ეგრეც ვიცოდი! თან ნახე, რა შხამიანია და კიდევ თავის როდსტვენიკებს გლეჯამს და მარინადად ინახამს ზეთში. იტოგში, „ქოლ-ცენტრი“ რა არის ზურაჯან, უჟე მერამდენედ გეკითხები, რა!

— აფერისტების შაიკა!

— აფერისტები ყველანი ვართ, მაგრამ კანკრეტნად! ვერაფერი ვერ გავიგე, რაც რომ ტელევიზორში ილაპარაკეს. ვაბშე რა ხდება, მე რო გაგებაში არა ვარ?

— მთლად მეც ვერა ვსხლავ, მაგრამ მივხვდი, ერთი დიდი ფულიანი აფერისტი რამდენიმე თავისნაირ აფერისტს შეიამხანაგებს, მოაწყობენ ოფისს, აიყვანენ უცხოენის მცოდნე აფერისტებს და ფულს აკეთებენ. აქ ხომ ნანულას სექტის წევრებს მიადგნენ, ალბათიში 24 ქართველი ააგდო შსს-მ, ინტერნეტთაღლითების ქოლ-ცენტრში მუშაობდნენ. რაც ეს წელი დაიწყო, სამ თვეში 400-ზე მეტი სატელეფონო თაღლითობა გამოვლინდა თურმე. ბანკის თანამშრომლები ვართო, ეუბნებოდნენ, ასე აბამდნენ ყაზახეთის მოქალაქეებს და ონლაინ სესხებს აფორმებდნენ.

— ყაზახეთში? საიუზის დროს რაც მანდ მიგულავია... ეგ როგორ? მაიტა, მეც წამიყვანონ! ხოშიანი აფერისტი ვარ; სომხური ვიცი, რუსული ვიცი, ქართული ვიცი, ცოტა სპარსულიც მეხერხება — მეტი რა ვქნა? აი, ამიტომაც არ მიყვარს ეგ თქვენი ინტერნეტი, მარტო ტიტველი ქალების და ფეხბურთის სანახავად ვარგა...

— მოიცა, კაცო, ერთი!

— დაიცა, აქ ვინ ააგდეს?

— აქ — ჯერ არავინ, მაგრამ დომხალია. კეზერაშვილი ხო გახსოვს?

— ხალხი რო ჭამდა კაფეში და ყველა პოლზე დააწვინა, ყიური კაიფარიკი, მერე რო მინისტრ აბარონი იყო, ეგა? მერე?

— მერე ის, რომ ბი-ბი-სი-მ ჟურნალისტური გამოძიება გაუშვა. გამოდის, რომ კლიენტების მოტყუების გლობალურ თაღლითურ ქსელში ისიც ყოფილა. ახლა საქართველოში მიმდინარეობს გამოძიება აი, მაგ ქოლ-ცენტრების მეშვეობით თაღლითობასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ტრანსნაციონალური დანაშაულის საქმეზე.

— მოიცა, ნაღდი ვიცი, რო ნანულა ყიური არ არის, არც აფერისტია, პრიამოი ქალია და ეგ რაზე იგლეჯამს?

— იმაზე, რომ „ნაციონალია“ და ეგ ყიური პოლიტიკური ძმა ხომ დაუჭირეს, ახლა შეიძლება, პოლიტიკური დაც მიაყოლონ. იცი, რომელი? შენ მოგწონდა, ლოგინს შეავსებსო, „ტონტორიკას“ ეძახდი, ბავშვობიდან მიყვარდა რაღაც სქელი კანფეტი, ტონტორიკა იყო და ისეთიაო.

— ვაი, მამანჯააან! აი, ზურაჯან, ვოტ ტაკაია დოლია ვარავსკაია! დაჯე, ქალო, რა აფერისტობა აგიტყდა? მიდი, ერვანდას ერთი-ორი ტკბილი სიტყვა უთხარი. აგე, ყიურში გამცვალა და იმღეროს ეხლა „ტაშკენტიდან მოდის ქარავანი“... ისა და, „ტონტორიკა“ რას ამბობს?

— ანონიმური ზარის საფუძველზე მოვიდნენ სამართალდამცავებიო. შენი „ტონტორიკა“ ამბობს, მე მაგ „კეზერაზე“ მაგარ ჟურნალისტურ გამოძიებას ვაკეთებდი, მაგისი თავდაცვის მინისტრობის პერიოდზე, იარაღით რომ ვაჭრობდა რუსეთთან. ამას დავადასტურებდი, უკვე ვამთავრებდი და ამის გამო იძია შურიო. მეორე ვარიანტია, შური იძია და თანაც „აფერისტების ბაზრიდან“ ჩამოიშორა შედარებით მცირე კალიბრის, მაგრამ მისთვის მნიშვნელოვანი კონკურენტიო. გეუბნები, დომხალია-მეთქი! მაგ შენ „ტონტორიკასთან“ ერთად, ამბობენ, ვალერი გელბახიანია და იცი, კიდე ვინა — შენი დეიდაშვილი რო გადარჩა „გადაგდებას“, სამშენებლო კომპანია „სვეტის“ დამფუძნებელი, გივი ჯიბლაძე — ეს უკვე ნაჯდომია ცოტახნით თაღლითობაზე, დიდიხნით ვინ აკადრებდა...

— აი, ქუნეეეეემ! მერე?

— მერე ის, რომ შენი „ტონტორიკა“ ამბობს, დროზე გამოიძიეთ, რასაც იძიებთ და დამიბრუნეთ ჩემი დალუქული აპარატურა, საქმე მიფუჭდებაო.

— ვა, კიტაროს! ისე, რა ამბავია, პადრიად — „ქოლ-ცენტრი, ქოლ-ცენტრი“... სანამ ტვინი არ წაიღეს, არ მაინტერესებდა, რა იყო. რაღაც სვეტსკი სალონები მეგონა... მაიცა, ის ჩემი „ტონტორიკა“ ბრონიროვანი ჯიპით დედამიწას რო უვლის გარშემო, საიდან, ეგ უკვე უთხრა?

— კი, თქვა.

— რაო, პრადედუშკამ დამიტოვა საღორიის ტყეში, აქამდინ ვერა ვნახულობდი და ეხლა სლუჩაინად ვნახეო?

— დაახლოებით ეგრეა, მაგრამ „პრადედუშკა“ ახალგაზრდულად გამოიყურება. „ტონტორიკა“ ამბობს: ბრონირებული „ლენდ კრუიზერი“ გივი ჯიბლაძემ მაჩუქა, რადგან ჩემზე თავდასხმის საფრთხე კეზერაშვილის მხრიდან, რეალური იყოო. იმ ყიურს ნათქვამი აქვს, კილაძე და ჯიბლაძე იყვნენ ის ადამიანები, ვინც დედა მიტირეს და ადეკვატურ რეაქციას მიიღებენ, დიახაც, გავისვრი, თუ დამჭირდაო.

— მაგარია! ერთი აფერისტი მეორე აფერისტს ბრანივოი ჯიპს ჩუქნის; მესამე აფერისტს ამ ორი აფერისტის ზუბი აქვს და აჭერინებს, ჩვენ კიდე, ნანულას შიშით ხმა ვერ ამოგვიღია, სრაზუ ყვირის... — აღშფოთებისგან ხმა ჩაეხრინწა ერვანდას.

— ბიჯო, ქოლ-ცენტრების ამბავი ახლა კი არ დაიწყო, შარშან გასკდა, მაგრამ პროკურატურის ბრიფინგი რომ აჩვენეს, საერთოდ არ დავინტერესებულვარ, მეთქი, ერთი-ორი აფერისტი ტიპი აფერისტობდა. თურმე მთელი ქსელი ყოფილა. უკავშირდებოდნენ ევროპელებს, გაეცნობოდნენ გამოგონილი სახელებით, მათი კომპანიის ადგილსამყოფელის შესახებ ყალბ ინფორმაციებს აწვდიდნენ და დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ფასიანი ქაღალდების, აქციების, სასაქონლო აქტივების, ვალუტების და კრიპტოვალუტების ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობდნენ.

— და იმათ რაღა აქლიავებდათ? ვაბშე, ზურაჯან, იცი, რას გეტყვი? ადამიანი, თუ ჭკუა აქვს, სულ ნაყლაპში უნდა იყოს, იმიტომ, რო მთვრალი კაცი ეჭვიანია, სულ მოტყუება და ღალატი ელანდება, თავის ფულს ვინმეს ანდობს?

— ბიჯო, მუქთა ფული მაცდური რამეა, მით უმეტეს, თუ დაგაგომეს, რომ ელექტრონული ვაჭრობის შემთხვევაში, ფასების შემცირება ან გაზრდა შენს ჩადებულ ფულზე მხოლოდ დიდი მოგებით აისახება. მერე ის ფულები ვარდებოდა ამ ჯგუფის მეშოკში და ირიცხებოდა საქართველოში. გაიგე?

— ბა ვონც! ისე, ზურაჯან, ერთი-ორი დიდი ქოლ-ცენტრი რას დაგვხატავდა, არა?

— არხანგელსკი მოგენატრა?

— რათა არხანგელსკი? ეხლა სადღაა არხანგელსკი, ვეტლაგი და მაგადანი. აგე, წამოკოტრიალდი ხოშიანად საქართველოს ლუბოი ციხეში და ჭამე დღეში სამჯერ ხოშიანი საჭმელები. მოგწყინდება და აყვირდი: მიშა მანახეთ, თორემ თავს დავიბრიდავ. წაგიყვანენ იმ „ვავამედში“ და მერე იქიდან მიშა აყვირდება: არ წაიყვანოთ ერვანდა და საჭმელს შევჭამო, ან, არ შევჭამო და იქნები ხოშიანად. ზატო სახლში მილიონები დაგელოდებიან — ზოგი ევროში, ზოგი დოლარში. რუბლებში არ მინდა, ლЯკა ვარ თუ ის მიორე რუბლიოვი, იუსტიციის ბიჭი რო იყო, ადეიშვილ-ბერიას შესტიორკა...

— რას ჩურჩულებთ, გველებო?! დამჯდარან აქ და პუტუნებენ... რას ხეთქავთ, აჰათ! — ნანული ისე მოგვეპარა, ვერ გავიგეთ და ორი ცალი ცხელ-ცხელი ხაჭაპური დაგვიხეთქა ტაბლაზე.

— ნანულიჯან, რა ყოფილა ქოლ-ცენტრები, დავირეხვე. სადმე იეფათ ხო არ გეგულება, შენს რადნოი სექტაში გაიკითხე, — თვალები აუციმციმდა ერვანდას.

— რა გინდა, სომეხო გველო? — მიესიყვარულა ნანული და ორივეს მოგვმართა: აგე, თქვენი ბიძინა! კოსტავას ქუჩაზე ლოდები ცვივა მთიდან!

— მთის წვერზე ბიძინა ზის და ლოდებს აგორებს? — ისე გაიოცა ერვანდამ, სასულეში გადამცდა ხაჭაპური.

— ფუი, თქვენ ხომ კაცები კი არა უმადური გველები ხართ, გიურზები! — დაგვაყვირა ნანულიმ და გავარდა.

— ზურაჯან, მეორე ბოთლიც ჩავცალოთ და მერე ნანულა გავხიოთ ცემით, მაინც ნაციონალია, 30 აპრილი ჩავლილია და ალალია, — შემომთავაზა ერვანდამ.

— გაუშვი, გლოვა აქვს.

— აჰა, გაუშვებ და გველებს გვეძახის...

— გვეძახოს, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ჯიგრები ვართ?

— ვიცით, მააშ!

**ზურა ოქხერელი**



# ტაკერ კარლსონი: აშშ დღეს ერთპარტიულ ქვეყანას დაემსგავსა

დედამიწაზე მშვიდობის დამყარებაზე საუბარი ნაადრევია. ამაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ვითარებაც მეტყველებს. ბოლო წლების განმავლობაში ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა შიმშილობს. თუმცა, მათ დასახმარებლად რეალურად არაფერს აკეთებენ წამყვანი, მდიდარი ქვეყნები. შარშან ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ უკრაინა ღარიბ ქვეყნებში ჭარბ მარცვლეულს შეიტანდა. ამ იდეას დაეთანხმა რუსეთის მხარეც, ოღონდ, საკუთარი პირობები წამოაყენა. თურქეთი მარცვლეულით დატვირთულ გემებს პრობლემის გარეშე გაატარებდა ბოსფორის სრუტეში. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ღარიბ ქვეყნებს, 5 პროცენტიც არ მიუღიათ. სამაგიეროდ, ევროპის ქვეყნებში შეიტანეს იაფი პროდუქცია. მოკლედ რომ ვთქვათ, შირმა აღმოჩნდა ღარიბ ქვეყნებზე „გულაჩუყებული“ პოლიტიკოსების საუბრები, რადგან რეალურად შიმშილობა კვლავ გრძელდება. „...მარცვლეულის შესახებ ხელშეკრულება იფუშება, რაშიც დამნაშავე ამერიკის შეერთებული შტატები და ბრიტანეთი არიან“, — განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუდ ჩაუშოღლუმ.



სამაგიეროდ, დასავლეთის ქვეყნები და აშშ თანხებს არ ზოგავენ შეიარაღებაზე, რასაც უკრაინელებს რუსეთთან საომრად აძლევენ. გასულ კვირას ბრიტანეთის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნისლიანი ალბიონი უკრაინელებს ურანით გამდიდრებულ რამდენიმე ათას სხვადასხვა სახის ჭურვებს გადასცემს. ლონდონში დაადასტურეს ეს ინფორმაცია. მართალია, ეს ჭურვები ბირთვული იარაღის ნუსხაში არ არის შეტანილი, მაგრამ მძიმე ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს, რაც დადასტურდა იმ ქვეყნებში, სადაც გამოიყენეს. რუსეთში, როგორც მოსალოდნელი იყო, მწვავედ შეხვდნენ გავრცელებულ ინფორმაციას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს: „ურანით გამდიდრებული ჭურვების გადაცემაზე და მოსალოდნელ შედეგებზე ლონდონი პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს და სათანადო, ადეკვატურ პასუხს მიიღებს!“

ნატო-ს წევრი ქვეყნები განაგრძობენ უკრაინისთვის სხვადასხვა სახის იარაღის გადაცემას. დასავლურ პრესაში უკვე ხშირად იწერება იმის შესახებ, რომ აღნიშნული შეიარაღება თავისუფლად იყიდება „შავ ბაზარზე“. გამოცემების მტკიცებით, მომწოდებლებმა ყოველივე კარგად იციან, მაგრამ უმოქმედოდ არიან. აშშ-ის კონგრესში რესპუბლიკელების უმრავლესობით შესვლის შემდეგ, მათი ინიციატივით დაიწყო მიწოდებულ შეიარაღებაზე კონტროლი, მაგრამ კონტრაბანდის აღკვეთა დღემდე ვერ შეძლეს.

დასავლეთის ქვეყნების მეთაურები კატეგორიულად სთხოვენ უკრაინის პრეზიდენტს, ვლადიმერ ზელენსკის შეტევაზე გადასვლას. ამერიკული და ევროპული პრესა ამის სავარაუდო თარიღებსაც ასახელებდა. ბოლოს უკვე დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ უკრაინის არმია 30 აპრილს დაიწყებდა ფართომასშტაბიან შეტევას, მაგრამ... ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადებით, უკრაინელებმა შეპირებული იარაღის 98% მიიღეს და კონტრშეტევაზე გადასვლის შესაძლებლობა აქვთ. მის აზრს იზიარებენ ანალიტიკოსებიც. გასულ კვირას აშშ-ის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯო ბაიდენმა ზელენსკის პირდაპირ უბრძანა შეტევაზე გადასვლა.

ცეცხლის შეწყვეტისა და სამშვიდობო დიალოგის მომხრეები მრავლად არიან. თუმა მათ აზრს ნაკლებად ითვალისწინებენ. აშშ-ის დიდი პოლიტიკური დინასტიის წარმომადგენელი, ჯონ კენედის ძმისშვილი, უმცროსი რობერტ კენედი მიიჩნევს, რომ უკრაინა ვერ გაუმკლავდება რუსეთის ზეწოლას: „...ადრე ბაიდენი ამბობდა, უკრაინაში ომი ჰუმანურ მიზნებს ემსახურებაო. ახლა კი აცხადებს, ომის მიზანი რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლააო. გამოდის, უკრაინა პაიკია ორი გიგანტი სახელმწიფოს ჭიდილში...“ — განაცხადა დემოკრატმა რობერტ კენედიმ. რუსეთში განხორციელებული ვიზიტიდან ერთი თვის შემდეგ, როგორც იქნა, შედგა სატელეფონო საუბარი ჩინეთის მმართველ სი ძინპინსა და ზელენსკის შორის. დიალოგის დეტალები არ გასაჯაროებულა, მაგრამ ჩინეთის მხარის ცნობით, სი ძინპინმა ზელენსკის პირდაპირ უთხრა, რომ ყველანაირად ეცდება, უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტას მიაღწიოს. ევროპის ცალკეული ქვეყნების ლიდერები კი მიიჩნევენ, რომ უკრაინა ჯერ კონტრშეტევაზე უნდა გადავიდეს და ამის შემდეგ დაიწყოს რუსეთთან მოლაპარაკება. მათი მოსაზრება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა „შიზოფრენიულ ლოგიკად“ შეაფასა.

სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა გასულ კვირას აშშ-იდან — ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის“ წამყვანს, ტაკერ კარლსონს ყოველგვარი განმარტების გარეშე დაატოვებინეს არხი. გათავისუფლების შესახებ მან საკუთარი გადაცემის დაწყებამდე ათი წუთით ადრე შეიტყო. ტაკერ კარლსონი 30 წელზე მეტია, რაც ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა. იგი თანამედროვე ამერიკის ყველაზე პოპულარული ჟურნალისტია. მის გადაცემებს ყოველდღიურად 4 მილიონამდე მაყურებელი ადევნებდა თვალს. კარლსონის გადაცემების ყურებას ნებისმიერი პოლიტიკოსი აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. გასულ კვირას კარლსონნს გადაცემაში ერთ-ერთ ბოლო სტუმრად სწორედ რობერტ კენედი ჰყავდა მიწვეული, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ჯო ბაიდენი და, საერთოდ, აშშ-ში არსებული პოლიტიკური ვითარება.



რა გახდა პოპულარული წამყვანის გათავისუფლების მიზეზი, ტელეკომპანიის ხელმძღვანელებს არ განუმარტავთ. არხი რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერად მიიჩნევა, მაგრამ კარლსონი არც მათ კრიტიკაზე ამბობდა უარს. მისი გადაცემები ობიექტურობით გამოირჩეოდა. „...აშშ-ის პრესაში დიდი ხანია, დისკუსიები მიუღებელი გახდა. კრიტიკული აზრის გამოთქმა შეუძლებელია. თუ ვინმე გაბედავს ამას, მასზე ზეწოლას ახორციელებენ. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, აქტუალური თემები არ შუქდება. დემოკრატები და რესპუბლიკელები შეთანხმებით მოქმედებენ, ამიტომ დღეს აშშ ერთპარტიულ ქვეყანას დაემსგავსა“, — განაცხადა კარლსონმა. ჯო ბაიდენისთვის შვებად იქცა არხიდან კარლსონის გაშვება, რაც საკუთარ წარმატებად შეაფასა. ასეთი ყოფილა აშშ-ში „სიტყვის თავისუფლება“, მათი ქვეყნის ელჩი და სხვა პოლიტიკოსები კი საქართველოს ადანაშაულებენ დემოკრატიის დეფიციტის გამო. მართლაც დამაფიქრებელია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში მომხდარი ეს ფაქტი.

უკვე ოფიციალურად განაცხადა ჯო ბაიდენმა, რომ 2024 წლის არჩევნებში მეორე ვადით პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს. „...ჩვენ უნდა დავასრულოთ დაწყებული საქმეები“, — განაცხადა მან, რა ჰქონდა მხედველობაში, ვერავინ გაიგო. მეორე ვადით მისი პრეზიდენტობის წინააღმდეგ გამოდიან დემოკრატების მხარდამჭერებიც, რადგან მიაჩნიათ, რომ იგი ქვეყნის მართვას ველარ შეძლებს. „ბაიდენის კიდევ ოთხი წლით პრეზიდენტობა აშშ-ში ახალ „დიდ დეპრესიას“ მოიტანს“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა. ტრამპმა საჯაროდ დასცინა კონკურენტს, რაც ისტორიაში არასოდეს მომხდარა. პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატის, ნიკი ჰეილის თქმით, ბაიდენი ვერ შეძლებს პრეზიდენტობის მეორე ვადის დასრულებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. პრეზიდენტის ჯანმრთელობით შეშფოთებულია თეთრი სახლის ყოფილი ექიმი რანი ჯექსონი. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ბაიდენი დამოუკიდებლად არ მართავს ქვეყანას, რასაც პრეზიდენტი ნაწილობრივ ადასტურებს. ბავშვებთან შეხვედრისას აკი განაცხადა კიდეც: „...როდესაც პრეზიდენტი გავხდი, მეგონა, ბრძანებებს მე გავცემდი, მაგრამ, სინამდვილეში, პირიქით ხდება“.



გასულ კვირას აშშ-ში დაუგეგმავი ვიზიტით სამხრეთ კორეის პრეზიდენტი იონ სუკ ეოლი იმყოფებოდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აშშ დამატებით ოთხ სამხედრო ბაზას ააშენებს ქვეყანაში, ხოლო კორეის ნახევარკუნძულთან პატრულირებას დაიწყებენ ბირთვული შეიარაღების მქონე აშშ-ის გემები, რადგან ჩრდილოეთ კორეას ჩინეთი ღიად უჭერს მხარს. ბაიდენმა სტუმარს ბანკეტი გაუმართა და სთხოვა, ემღერა, თვითონ კი გულდაწყვეტილმა უთხრა: „...მე ვერ ვიმღერებ, რადგან ლაპარაკიც მიჭირს“.

ინდოეთში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების სამიტი გაიმართა. საინტერესოა, რომ ჩინეთის თავდაცვის მინისტრი ლი შანფუ ახლახან იმყოფებოდა მოსკოვში, მაგრამ რუს კოლეგას, სერგეი შოიგუს დელიშიც შეხვდა. რუსეთის თავდაცვის მინისტრთან მასპინძლებსაც ხანგრძლივი დახურული შეხვედრა ჰქონდათ. „ეს იდეალური შეხვედრა იყო“, — ასე შეაფასეს მასპინძლებმა დიალოგი.

ბრიტანეთში ერთ-ერთი პაბის ტუალეტში იპოვეს დოკუმენტები გრიფით „საიდუმლო“, სადაც დეტალური მონაცემები იყო სამხედრო თემებზე. ასე ხდება, როდესაც ქვეყნისა და საკვანძო უწყებების სათავეში შემთხვევითი, არაკომპეტენტური ადამიანები ხვდებიან.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ჰოლივუდის ვარსკვლავთა მტანჯველი შიშები

2016 წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ადამიანებს ყველაზე მეტად სიმაღლის, საჯაროდ საუბრისა და გველების ეშინიათ. გამონაკლისი არც ჰოლივუდის ვარსკვლავები არიან. ერთი შეხედვით უშიშარ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებს უცნაური ფობიები ტანჯავთ.

მაგალითად მსახიობ **კრისტენ სტიუარტს** ცხენების ეშინია. ფილმში „ფიფქია და მონადირე“ იგი მეომარი ფიფქიას როლს ასრულებს, რომელიც სიცოცხლისთვის იბრძვის და სულაც არ ელოდება





როდის აკოცებს მას პრინცი. გადაღებების დროს კრისტენს ცხენზე ჯირითი მოუწია. „ეს ნამდვილი კოშმარი იყო იმიტომ, რომ ცხენები მეზიზღება“ — განაცხადა მსახიობმა. ცხენების შიში მას ბავშვობიდან გამოჰყვა. როგორც ირკვევა, 9 წლის ასაკში სტიუარტი ცხენიდან გადმოვარდა და იდაყვი მოიტეხა. „ვეცადე გადაღებების დროს ამაზე არ მეფიქრა. თუმცა ფილმში მონაწილეობის სურვილი იმდენად ძლიერი იყო, გავიფიქრე: თუ ცხენის გამო უნდა მოვკვდე, დაე, ასე იყოს-მეთქი“ — განაცხადა კრისტენ სტიუარტმა.

**ქრისტინა რიჩის** კი მეტად უცნაური ფობია — ოთახის მცენარეების შიში აქვს. მსახიობის აზრით: მცენარეები ძალიან ჭუჭყიანები და მტვრიანები არიან. „მათ სიახლოვეს როცა ვარ, ჭკუიდან გადავდივარ“ — ამბობს იგი. მისი შიში მხოლოდ ბოტანოფობიით არ შემოიფარგლება. ქრისტინას, ასევე საცურაო აუზებისაც ეშინია.

**ნიკოლ კიდმანის** ფობია ლეპიდოპტეროფობია, ანუ პეპლების შიშია. მან ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა: ბავშვობაში ღამის პეპელა პირველად რომ დაინახა, იმდენად შეეშინდა, რომ ეს შეგრძნება სამუდამოდ ფობიაში გადაეზარდა. კიდმანი ავსტრალიაში გაიზარდა და პეპლებს ბავშვობიდან გაურბოდა. როგორც თავად ამბობს: მან ამ შიშის დაძლევა არაერთხელ სცადა — ამერიკის ბუნებათმცოდნეობის მუზეუმში სპეციალურად მოწყობილ პეპლების დარბაზშიც კი შევიდა, თუმცა შიში მაინც ვერ დაძლია. კიდმანი იხსენებს, რომ როცა ბავშვობაში სახლის ჭიშკარზე პეპელას ხედავდა, ან ჭიშკრის ქვეშ ძვრებოდა ან სახლის მეორე მხარეს ღობეზე გადადიოდა, რათა თავის „დაუძინებელ მტერს“ პირისპირ არ შეხვედროდა. მსახიობს ყველანაირი პეპლების ეშინია.

აი, **ტომ კრუზს** კი პანიკურად ეშინია გამელოტების. ამიტომ იგი საკუთარი თმის შესანარჩუნებლად უზარმაზარ თანხებს ხარჯავს.

**მეთიუ მაკკონაჰს** კი მბრუნავი კარებისა და გვირაბების ეშინია. როგორც თავად ამბობს: ვერ იტანს, როდესაც ვერ ხედავს მისგან ორი მეტრის დაშორებით რა ხდება. გვირაბში შესვლისას სწორედ ასეთი გრძნობაა, რადგან არასდროს იცი რა ხდება შენს წინ, იქნებ, ავტოკატასტროფა მოხდა — აცხადებს მაკკონაჰი.



საოცარია, მაგრამ **ტეილორ სვიფტს** ეშინია დაპატიმრების და ციხეში გამოკეტვის. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მომღერალს ზღვის ზღარბების შიშიც აქვს. ამის გამო იგი წყალშიც ვერ შედის.

მრავალი ქალბატონის გულთამპყრობელ **ორლანდო ბლუმს** კი ღორების საშინლად ეშინია. ამ საიდუმლოს ფარდა ერთ-ერთი ფილმის გადაღებისას აეხადა, როდესაც ერთ-ერთმა ღორმა სირბილი დაიწყო და მსახიობმა შიშისგან გადასაღები მოედანი დატოვა. ბლუმს მიაჩნია, რომ ღორებს ადამიანის შეჭმა შეუძლიათ. მსახიობს გამუდმებით გიგანტური ღორი ეჩვენება, რომელიც მას მისდევს, შემდეგ თავის სადგომისკენ მიათრევს და თავსაც კი აჭამს. თუმცა, ამ დაუძლეველი ფობიის მიუხედავად, ორლანდო ბლუმი ამ „საშიში“ ცხოველის — ღორისგან მომზადებული უგემრიელესი კერძების დაგემოვნებაზე უარს არასდროს ამბობს.



ერთი შეხედვით უშიშარი როლების შემსრულებელ **ჯონი დეპს** საზოგადოებაში საკმაოდ გავრცელებული ფობიები — კლოუნებისა და ობობების შიში ტანჯავს. დიახ, მას ეშინია მათი, ვინც ხალხს ამხიარულებს. მსახიობი კლოუნებს ასე ახასიათებს: მათი ნიღბების მიღმა, თითქოს, იდუმალი ბოროტება იმალებაო“. ჯონი დეპს ამ პრობლემასთან გამკლავების მეთოდიც აქვს შემუშავებული — იგი ყველგან კლოუნების პოსტერებსა და ფოტოებს აკრავს. მას მიაჩნია, რომ რაც უფრო ხშირად შეხედავს თვალებში საკუთარ შიშს, მით უფრო მარტივად შეძლებს მის დამარცხებას.

არაერთი ქალის საოცნებო, მომხიბვლელ მამაკაცს **ბრედ პიტს** კი საკმაოდ ფართოდ გავრცელებული სელაკოფობია, ანუ ზვიგენების შიში აქვს.

**კიანუ რივზის** ფობია სიბნელის შიში, ანუ ნიქტოფობიაა. იგი სინათლეს ყოველთვის ანთებულს ტოვებს. თუმცა ეს მსახიობს საშინელებათა ფილმების სიყვარულში ხელს როდი უშლის. კიანუს კიდევ ერთი უცნაური ფობია სჭირს — მას ტელეფონის ზარის ეშინია, რადგან მიაჩნია, რომ ტელეფონით აუცილებლად ცუდ ამბავს შეატყობინებენ.



საკმაოდ ძნელი დასაჯერებელია, რომ რემბოს რაიმესი ეშინია, თუმცა **სილვესტერ სტალონეს** ამეტოფობია, ანუ უცხო ადამიანების და თვალებში ყურების შიში აქვს. მსახიობს ეჭვი არ ეპარება, რომ ყველა ვინც კი მას თვალებში უყურებს, ენერგიას ართმევს. სწორედ ამიტომ ატარებს სტალონე ყოველთვის მუქ სათვალეს. იგი თვალებში შეხედვის უფლებას მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს აძლევს. გარდა ამისა, სილვესტერს კიდევ ერთი ყველაზე გავრცელებული ფობია — სიმაღლის შიში ტანჯავს. ფილმ „მთასვლელში“ გადაღება, სადაც მოქმედება, ძირითადად, მწვერვალზე მიმდინარეობს, მისთვის სრული კოშმარი აღმოჩნდა.

**ჯულია რობერტს** კი მიზოფობია, ანუ ბაქტერიებისა და ობის შიში აქვს. გაგეცინებათ, მაგრამ მას იმისიც კი ეშინია, როცა მისთვის უცნობი ადამიანი აცემინებს. ეს შიში იმდენად მანიაკალურია, რომ იგი ნებისმიერ შენობაში შესვლამდე, ჰაერის სპეციალური ხსნარით დეზინფექციას მოითხოვს. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დღეში აღმოჩნდებოდა ჯულია რობერტსი კოვიდ-პანდემიის დროს.

**მოამზადა**
**თამარ შველიძემ**



**ჩვენი გაზეთის ერთგულ თანამშრომელს, ნიჭიერ, შრომისმოყვარე და დაუზარელ ჟურნალისტს, კეთილშობილ და მომხიბვლელ**

**თამარ შველიძეს**

**ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**ვუსურვებთ წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულსა და პროფესიულ წარმატებებს.**

**დაე, მრავალ წელს ეკეთებინოს საყვარელი საქმე და მკითხველისთვის კიდევ ბევრჯერ მიენიჭებინოს სიხარული.**

**„საერთო გაზეთი“**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

**საერთო გაზეთი**
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი);
ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99